მტრლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

სამშაბათი, 19 თებერვალი, 1952 წ. № 42 (9202). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში

იზრდება და ფართოვდება მოძრაობა მშვიდობის შენარჩუნებისათვის — „პრავდის“ 17-II მოწინავე (1-ლი გვერდი).

სახელოვანი თარიღების შესახვედრად (1-ლი გვერდი).

ტაშისკარის საარწყავი არხის მშენებლობაზე (1-ლი გვერდი).

მოწინავე მეფოლადეთა ძვირფასი თაოსნობა (1-ლი გვერდი).

კომუნისტები ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში (მე-2 გვერდი).

თვითთეული საწარმოო ოპერაციის საუკეთესო ხარისხით შესრულებისათვის (მე-2 გვერდი).

ს. ინწკირველი — შრომის მიხედვით განაწილების პრინციპი სოციალიზმის ეკონომიური კანონია (მე-2 და მე-3 გვერდი).

მოწინავე სატრაქტორო ბრიგადა (მე-3 გვერდი).

მეტი ყურადღება ჩვენს საუუალებს (მე-3 გვერდი).

ბერძენ პატრიოტთა ნათესავების მიმართვა ი. ბ. სტალინისადმი (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

იზრდება და ფართოვდება მოძრაობა მშვიდობის შენარჩუნებისათვის

თანამედროვე საერთაშორისო ვითარება ხასიათდება ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის მშვიდობისმოყვარე ხალხთა ბრძოლის უდიდესი გაფართოებით.

ისტორიაში პირველად წარმოიშვა მშვიდობის მომხრეთა მძლავრი, დარაზმული მოძრაობა, რომელიც ყველა ხალხსა და ქვეყანას მოედო. მშვიდობისათვის მებრძოლთა საერთაშორისო ორგანიზებული ფრონტის შექმნა თვალნათლივ მოწმობს იმ დიდ ცვლილებებს, რაც ამ უკანასკნელი წლების მანძილზე ხალხთა პოლიტიკურ ცხოვრებაში მოხდა. ხალხთა ფართო მასები სულ უფრო ერკვევიან, თუ კაცობრობისათვის რა უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს აგრესიის იმპერიალისტური პოლიტიკა, ახალი დამპყრობლური ომის მომზადებისა და გაჩაღების პოლიტიკა.

წარსულ ომში მსოფლიო ბატონობის ფაშისტ პრეტენდენტთა განადგურების საგნობრივი გაკვეთილების მიუხედავად, იმპერიალიზმის აგრესიული ძალები ცდილობენ გააჩაღონ მესამე მსოფლიო ომის ცეცხლი. აგრესია, ახალი ომის მომზადება და გაჩაღება ამერიკის შეერთებული შტატების და ატლანტიკის ბლოკის სხვა ქვეყნების ახლანდელ ხელმძღვანელთა პოლიტიკის ძირითად შინაარსს შეადგენს.

„...ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, ისევე როგორც საფრანგეთში, — აღნიშნა ამხანაგმა სტალინმა ერთი წლის წინათ „პრავდის“ კორესპონდენტთან საუბარში, — არიან აგრესიული ძალები, რომელთაც სწყურიათ ახალი ომი. ომი მათ ესაჭიროებათ ზემოგების მისაღებად, სხვა ქვეყნების გასაძარცვავად. ესენი არიან მილიარდერები და მილიონერები, რომლებიც ომს ისე უცქერიან, როგორც შემოსავლიან საქმეს, რაც კოლოსალურ მოგებას იძლევა.

მათ, ამ აგრესიულ ძალებს, უჭირავთ ხელში რეაქციული მთავრობები და გეზს აძლევენ მათ“.

მშვიდობისმოყვარე კორეელი ხალხის წინააღმდეგ დანაშაულებრივი ომი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და აზიის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ ახალი საომარი ავანტიურების მომზადება, გამალებული შეიარაღება, ფაშიზმის აღორძინება — აი რა ახასიათებს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეებისა და მათი სატელიტების თანამედროვე პოლიტიკას.

ცდილობენ რა განახორციელონ თავიანთი გეგმები, ახალი ომის გამჩაღებლებს ამავე დროს ეშინიათ ხალხებისა, რომლებსაც ახალი ომი არ უნდათ და მშვიდობის შენარჩუნებას მოითხოვენ. ამიტომ რეაქციულმა მთავრობებმა უდიდესი მასშტაბით გააჩაღეს ომის იდეოლოგიური მომზადება. აგრესიული ძალები ცდილობენ რეაქციული მთავრობები იმისათვის გამოიყენონ, რომ სიცრუის ქსელში გახვიონ თავიანთი ხალხები, მოატყუონ ისინი და ახალი ომი დახატონ, როგორც თავდაცვითი ომი, ხოლო მშვიდობისმოყვარე ქვეყნების სამშვიდობო პოლიტიკა — როგორც აგრესიული პოლიტიკა. ისინი ცდილობენ მოატყუონ ხალხები, რათა თავს მოახვიონ მათ თავიანთი აგრესიული გეგმები და ახალ ომში ჩაითრიონ.

ინგლის-ამერიკის ბლოკის ქვეყნების მმართველ წრეებს სწრაფად იმატომ ეშინიათ მშვიდობის დაცვის კამპანიისა, რომ ეს კამპანია ამხილებს რეაქციულ მთავრობათა აგრესიულ ზრახვებს და ფუშავს მათს დანაშაულებრივ გეგმებს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიაზე, რაც ამას წინათ დამთავრდა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აგრესორულმა ბირთვმა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები მეთაურობენ. კვლავ ჩაშალა ახალი მსოფლიო ომის საფრთხის საწინააღმდეგო და ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ საბჭოთა წინადადებების მიღება. ამ სესიაზე დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ აღებულმა გეზმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ატლანტიკის ბლოკის მესვეურებს ეშინიათ შეიარაღების შემცირების და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ საბჭოთა წინადადებების მიღებისა, რადგან ეს ძირს გამოუთხრის რეაქციულ მთავრობათა აგრესიულ ღონისძიებებს და გამოიწვევს იმას, რომ საჭირო აღარ იქნება გამალებული შეიარაღება.

რადგან ეშინია მშვიდობის შენარჩუნებისათვის მძლავრი მოძრაობისა, რომელიც იმპერიალისტებს ხელს უშლის სიცრუის ქსელში გახვიონ ხალხის მასები და ახალ ომში ჩაითრიონ ისინი, ინგლის-ამერიკის რეაქცია მიმართავს მშვიდობის მომხრეთა წინააღმდეგ ბრძოლის ყველა საშუალებას. მაშინ როცა სსრ კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში მიღებულია მშვიდობის დაცვის კანონები, რომლებიც ომის პროპაგანდას კაცობრობის საწინააღმდეგო უმძიმეს დანაშაულად აცხადებენ, ინგლის-ამერიკის ბლოკის ქვეყნებში ყოველნაირად აქეზებენ ომის გამჩაღებელთა მოქმედებას, ხოლო ხალხთა საუკეთესო შვილებს, რომლებიც მშვიდობისათვის იბრძვიან, სდევნიან და ავიწროებენ.

ამ პირობებში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმპერიალისტ აგრესორთა და ომის გამჩაღებელთა დანაშაულებრივი ხრიკების გამოაშკარავებისათვის ფართო კამპანიის გაჩაღებას.

განსაზღვრა რა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების გზები, ამხანაგმა სტალინმა „პრავდის“ კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნა:

„მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, თუ ხალხები მშვიდობის შენარჩუნების საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას. ომი შეიძლება გარდუვალი გახდეს, თუ ომის გამჩაღებლები მოახერხებენ სიცრუის ქსელში გახვიონ ხალხთა მასები, მოატყუონ ისინი და ახალ მსოფლიო ომში ჩაითრიონ.

ამიტომ ფართო კამპანიას მშვიდობის შენარჩუნებისათვის, როგორც ომის გამჩაღებელთა დანაშაულებრივი მახინაციების გამოაშკარავების საშუალებას, ახლა პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს“.

სტალინის ბრძნული სიტყვები ყველა ქვეყნის კეთილი ნების მილიონობით ადამიანს, მთელ პროგრესულ კაცობრობას აღაფრთოვანებენ, რათა კიდევ უფრო აქტიურად იბრძოლონ მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

მშვიდობისადმი ხალხთა ერთსულოვანი მისწრაფების დამჯერებელი გამოხატულებაა სხვადასხვა ქვეყნის ადამიანის 600 მილიონი ხელმოწერა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ. მშვიდობისათვის აქტიურ მებრძოლთა რიგებში ჩადგა სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური რწმენის ახალი მილიონობით ადამიანი.

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მეორე წლისთავის აღნიშვნა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მშვიდობის ბანაკის მძლავრი ძალების ერთიანობისა და დარაზმულობის მკაფიო დემონსტრაციად გადაიქცა. ამ დღეებში მთელ მსოფლიოს შესაძლებლობა ჰქონდა ერთხელ კიდევ დარწმუნებულიყო, რაოდენ მტკიცე და ურღვევია სსრ კავშირისა და ჩინეთის ხალხთა დიადი მეგობრობა, რაც შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების მტკიცე გარანტიას წარმოადგენს.

საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას გამოხატავს მშვიდობიანი მშენებლობის უდიდესი გაქანება. საბჭოთა კავშირში ჩაღდება სამოქალაქო მრეწველობა, ხორციელდება კომუნიზმის დიადი მშენებლობანი ვოლგაზე, დნეპრზე, ამუ-დარიაზე, ასეულ მილიარდობით მანეთი ხმარდება სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეს, იფურჩქნება კულტურა, განუხრელად უმჯობესდება მშრომელთა კეთილდღეობა. ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის სსრ კავშირისა და სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების დაუცხრომელი ბრძოლა აძლიერებს ყველა ქვეყნის ხალხთა მასების სიმტკიცეს მშვიდობის დაცვის საქმეში.

უკანასკნელი კვირეების მოვლენათა ბევრი ახალი მაგალითი მოწმობს მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო ფრონტის განუხრელ გაფართოებას.

დასავლეთ გერმანიაში დღითიდღე ძლიერდება სულ უფრო მასობრივი მოძრაობა ბონელი რევანშისტების ანტიეროვნული კურსის წინააღმდეგ, რომლებიც გერმანიის დასავლეთ ნაწილს ამერიკის აგრესიის პლაცდარმად და საზარბაზნე ხორცის მიმწოდებლად აქცევენ. გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ, მისი ერთიანობისათვის ბრძოლაში ებმებიან გერმანიის მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლები.

ევროპის ქვეყნების მილიონიანი მუშათა კონფერენციამ, რომელიც ამას წინათ გაიმართა ვენაში, დედამიწის ყველა ქვეყნის მელიონონებს მოუწოდა შექმნან ერთიანი ფრონტი მშვიდობის დაცვისათვის, ომის გამჩაღებელთა და ყვითელ პროფკავშირებში მათ ხელშემწყობთა წინააღმდეგ საბრძოლველად. კონფერენცია მელიონონ მუშებს მოუწოდებს გააძლიერონ ბრძოლა სამხედრო წარმოებაზე მრეწველობის გადაყვანის წინააღმდეგ, მოითხოვონ კორეაში საომარი მოქმედების შეწყვეტა, მშვიდობის პაქტის დადება, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ეკონომიური ურთიერთობის გაფართოება.

ხელისუფალთა რეპრესიების მიუხედავად, მშვიდობისათვის მებრძოლნი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში ენერგიულად ემზადებიან ამერიკის კონტინენტის მშვიდობის მომხრეთა კონგრესის მოსაწვევად. უკვე მიმდინარე წლის დამდეგისათვის ლათინური ამერიკის ქვეყნებში მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მიმართვაზე შეგროვებულ იქნა 7,5 მილიონზე მეტი ხელმოწერა. ჩაღდება მზადება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ჩრდილოეთ აფრიკის მშვიდობის მომხრეთა რეგიონალური კონგრესის მოსაწვევად. მშვიდობის მომხრენი შვეიცარიაში აწყობენ „მშვიდობის ერთთვიურს“.

იზრდება და ფართოვდება მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა. მისი წარმატებანი აშკარაა. მაგრამ ეს წარმატებანი თვითდამშვიდებას ვერ გამოიწვევენ მშვიდობისათვის მებრძოლთა რიგებში. მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა თანამედროვეობის მძლავრი მოძრაობაა, იგი ხალხის უფართოესი მასების სასიცოცხლო ინტერესებს, მთელი მოწინავე კაცობრიობის ნებას გამოხატავს. და რაც უნდა გამხეცებული იყვნენ ომის იმპერიალისტი გამჩაღებლები, რომლებიც ცდილობენ ჩაახშონ, შეასუსტონ ხალხთა მოძრაობა, რაც მიმართულია მშვიდობის დასაცავად, ეს უძლეველი მოძრაობა განუხრელად გაიზრდება და განმტკიცდება.

მშვიდობის დაცვა მსოფლიოს ყველა ხალხის საქმეა. მშვიდობისმოყვარე ხალხებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ჩაშალონ ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა დანაშაულებრივი გეგმები, დაიცვან და განმტკიცონ მშვიდობის დიდი საქმე.

„პრავდის“ 17-II მოწინავე

ახალი მხატვრული ფილმი „გოგოლი“

კიევი, 13 თებერვალი. (საკ.). კიევის მხატვრული ფილმების სტუდიამ დაამთავრა ახალი ფერადი მხატვრულ-დოკუმენტალური ფილმის „გოგოლის“ გადაღება. ფილმი მიძღვნილია დიდი რუსი მწერლის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი.

ჩვენს რესპუბლიკაში

★

მაჯულობს შრომადღის ანაზღაურება

გურჯაანი. (სპეც. კორ.). სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის სოფელ ჭერემის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში ყოველწლიურად ნაყოფიერად მუშაობენ. აგროწესების ზუსტად განხორციელების შედეგად შარშან კოლმეურნეობაში 304 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 14 ცენტნერი ხორბალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13,5 ცენტნერისა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ის ბრიგადა, რომელსაც მ. არევაძე ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ 48 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მიიღო 15 ცენტნერი ხორბალი, ხოლო მეექვსე ბრიგადამ (ხელმძღვანელი ქ. გელაშვილი) 53 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე—14,5 ცენტნერი.

მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად გადიდდა შრომადღის ანაზღაურებაც. თვითეულ კოლმეურნეს, გარდა ფულისა, შრომადღეზე ხვდა 4 კილოგრამზე მეტი მარცვლეული.

წელს უხვი მოსავლის მოყვანისათვის სოფელ ჭერემის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. უკვე შეუდგნენ შემოდგომის ჯეჯილების მარგვლას და ნათესების გამოკვებას, გადაწყვეტილი აქვთ კოლმეურნეობაში მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე შარშანდელთან შედარებით ხორბლის მოსავლიანობა გაადიდონ 3 ცენტნერით, ხოლო სიმინდისა — 5 ცენტნერით.

გაიზარდა კოლმეურნეთა შემოსავალი

ქარელი. (საკ. კორ.). სოფელ ლეთეთის კოლმეურნეობაში გასულ წელს მარცვლეულისა და შაქრის ჭარხლის უხვი მოსავალი მიიღეს. 195 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 15,5 ცენტნერი ხორბალი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 14 ცენტნერისა, 29 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 20 ცენტნერი ქერი.

ლეთეთელმა კოლმეურნეებმა ერთიორად და უფრო მეტად გაზარდეს შაქრის ჭარხლის მოსავლიანობა. აქ 40 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანეს 513 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 250 ცენტნერისა.

სახელმწიფოსათვის ჩაბარებულ ჭარხალში კოლმეურნეობამ მოიღო 260 ცენტნერი შაქარი (აქედან 80 ცენტნერი პრემია-წანამატის სახით).

სათესლე მასალის, სასურსათო, საადაზღვევო და საფურაჟე ფონდების გამოყოფის შემდეგ კოლმეურნეობამ შრომადღეზე გაანაწილა 4,5 კილოგრამი მარცვლეული, აგრეთვე შაქარი და ფული.

კოლმეურნე ალექსანდრე ფილიშვილის ოჯახმა გამომუშავებულ 1.160 შრომადღეზე მიიღო 5.300 კილოგრამი მარცვლეული, 700 კილოგრამი შაქარი და 8.120 მანეთი ფული. გიორგი მარღიშვილის ოჯახმა გამომუშავა 1.118 შრომადღე და მიიღო 4.600 კილოგრამი მარცვლეული, 640 კილოგრამი შაქარი, 7.120 მანეთი ფული. შრომადღეებზე დიდი რაოდენობით ერგოთ პროდუქტები აგრეთვე კოლმეურნეებს ფიდო ფილიშვილს, ვანო მელაშვილს, ჩაისე მარღიშვილს.



ქუთაისის საავტომობილო ქარხანა. სამოტორე საამქროში უფროსი ოსტატი ვ. ვაშაკიძე და ზეინკალი გამომცდელი ვ. კინწურაშვილი ამოწმებენ მოტორების მუშაობას.

ფოტო ი. საკუნისა

სახელოვანი თარიღების შესახვედრად

აღიდებენ პროდუქციის გამოშვებას

ახალციხე. (საკ. კორ.). ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა პროდუქციის გამოშვების გასული წლის გეგმა 115,5 პროცენტით შეასრულეს და უფრო გააძლიერეს მუშაობა მიმდინარე წელს. საკონდიტრო ფაბრიკამ მზა ნაწარმის გამოშვების იანვრის გეგმა 166 პროცენტით შეასრულა, სახამებლის საწარმომ — 124,8, ხოლო ლიმონათის ქარხანამ — 113 პროცენტით. პროდუქციის გამოშვება გაადიდა სკიპიდარის საამქრომაც.

კომბინატთან არსებობს ხის ნახშირის გამომშვები საამქრო, რომელიც საწვავ მასალას ამზადებს საკოლმეურნეო სამჭედლოებისათვის. ამ საამქრომ გეგმის გადამეტებით რამდენიმე ტონა ნახშირი მიაწოდა სამჭედლოებს.

კომბინატის კოლექტივმა იკისრა თებერვლის გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულოს საბჭოთა საქართველოს 31-ე წლისთავისათვის.

თვიური გეგმა 25 თებერვლისათვის

გორი. (საკ. კორ.). საბჭოთა არმიის 34-ე წლისთავისა და საბჭოთა საქართველოს 31-ე წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს გორის საყუთე-სატარე ქარხანა. ქარხნის კოლექტივმა იანვრის გეგმას 12,8 პროცენტით გადააჭარბა და თებერვალშიც ასეთი ტემპით განაგრძობს მუშაობას.

სტახანოველები მ. მღებრიშვილი, თ. გუგუბერიძე, ზ. ჩერქეზიშვილი და სხვები გამომუშავების დღიურ ნორმებს 15-25 პროცენტით აჭარბებენ.

ქარხნის სახერხ საამქროში ახალ დანადგარებს ამონტაჟებენ, რაც ათი პროცენტით გაადიდებს პროდუქციის გამოშვებას.

ქარხნის კოლექტივის ვალდებულებაა 25 თებერვლისათვის უზრუნველყოს თვიური გეგმის შესრულება.

ორთქლმავლების ჩქაროსნული შეკეთება

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი თავდადებით შრომობს ბაქოელ და ლენინაკანელ მეორთქლმავლეებთან სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად.

აწევითი შეკეთების საამქროს კოლექტივმა, ბრიგადირ ბ. ტურაშვილის ხელმძღვანელობით, ჩქაროსნული მეთოდით შეაკეთა № 5418 ორთქლმავალი, ამ ორთქლმავლის შეკეთება 96 საათის ნაცვლად მოხდა 33 საათში. საამქრომ შეკეთებიდან ერთი დღით ადრე გამოუშვა ორთქლმავალი № 5304, გარდა ამისა, ნორმით გათვალისწინებულზე ორჯერ მცირე დროში შეაკეთეს ორთქლმავალი № 919.

ორთქლმავლების ჩქაროსნული მეთოდით შეკეთებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი ზეინკლებმა პ. მაზმანიშვილმა, შ. ნიკოლეიშვილმა, ა. ლაზარევმა და ა. შენგელიამ.

საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმო

გასული წლის მე-4 კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით სამტრესტის კონიაკ-არყის ქარხანა გამარჯვებული გამოვიდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ქარხნის კოლექტივს მიეკუთვნა საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

ზაშისკარის საარწყავი არხის მშენებლობაზე

ჩვენი რესპუბლიკის საარწყავ არხებს შორის ტაშისკარის საარწყავი არხის მშენებლობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მშენებლობაა. არხის მშენებლობა დაიწყო ჯერ კიდევ 1940 წელს, მაგრამ ომმა ხელი შეუშალა სამუშაოთა გაგრძელებას. მშენებლობა კვლავ ახალი ძალით გაჩაღდა 1951 წლის დასაწყისიდან. არხი წყალს მიიღებს მდინარე მტკვრიდან და მორწყავს ხაშურისა და ქარელის რაიონების 12 ათას ჰექტარზე მეტ მიწას. საარწყავი არხის საერთო სიგრძე რამდენიმე ასეულ კილომეტრს მიაღწევს.

არხზე აიგება ჰიდროელექტროსადგური, რომელიც ელექტროენერგიას მიაწვდის საკოლმეურნეო სოფლებს.

ამჟამად ტაშისკარის საარწყავ არხზე დიდი სამშენებლო სამუშაოებია გაჩაღებული. ყველაზე სასწრაფო და პასუხსაგები სამუშაოა სათაოის ნაგებობათა მშენებლობა, რაც 1952 წლის გაზაფხულისათვის უნდა დამთავრდეს. მთლიანად საარწყავი სისტემის მშენებლობაზე უნდა შესრულდეს 1.300.000 კუბმეტრი მიწისა და რამდენიმე ათეული ათასი კუბმეტრი ბეტონისა და ქვის სამუშაოები. 1951 წლის დავალება მშენებლებმა ვადაზე ადრე — 22 დეკემბრისათვის შეასრულეს. სამუშაოებს წარმატებით ხელმძღვანელობენ მშენებლობის უფროსი ი. მითაიშვილი და მთავარი ინჟინერი ნ. თუშიშვილი. დიდი ენერგიითა და პატრიოტული თავდადებით მუშაობენ გვირაბგამყვანები, მიწის მთხრელი მექანიზმების მემანქანეები, მებეტონეთა ბრიგადები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, რომლებიც ბრწყინვალე შედეგებს აღწევენ მუშაობაში. პირველი სამშენებლო უბნის კოლექტივმა (უფროსი ი. საბანაძე) წარმატებით შეასრულა დავალება და ჯერ კიდევ დეკემბერში დაამთავრა გვირაბის გათხრა. ამჟამად სწრაფად მიმდინარეობს გვირაბის ბეტონით მოპირკეთება.

მეორე სამშენებლო უბნის კოლექტივი (უფროსი შ. გაჩეჩილაძე) იბრძვის იმისათვის, რომ დაწესებულ ვადაზე ადრე დაამთავროს დიუკერის აგება.

თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია მესამე სამშენებლო კოლექტივმა (უფროსი ს. ნაცვალაძე), რომელმაც ვადამდე დაამთავრა რკინაბეტონის ხიდისა და ბეტონის სწრაფდენის აგება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბორჯომის, ხაშურისა და ქარელის რაიონების კოლმეურნეთა თავდადებული მუშაობა. კოლმეურნეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სარწყავი არხის მშენებლობაში და მთელი რიგი სამუშაოები ვადამდე შეასრულეს.

სარწყავი არხის მშენებლობაზე ფართოდ არის გამოყენებული მოწინავე საბჭოთა სამშენებლო ტექნიკა: ექსკავატორები, სკრეპერები, გრეიდერები, ბულდოზერები, ავტომანქანები... მექანიზატორები მაღალნაყოფიერი შრომის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან. ყველაზე უკეთესად მუშაობს ის ექსკავატორი, რომელსაც ვ. ვინკოვსკი და ა. კორინოვი მართავენ. მოწინავე ექსკავატორის კოლექტივი ყოველდღიურად 170-180 კუბმეტრ მიწას იღებს.

მექანიზატორებს მაღალნაყოფიერ შრომაში ეჯიბრებიან მებეტონეები. მებეტონეთა ბრიგადა, რომელსაც კ. ბუბლიკი ხელმძღვანელობს, ყოველდღიურ დავალებას 130-140 პროცენტით ანაღდებს.

ზამთარი ვერ ანელებს არხის მშენებელთა ენთუზიაზმს. ისინი ახალ წარმატებებს აღწევენ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მშენებლები ენერგიის დაუზოგავად იბრძვიან იმისათვის, რომ არხი ვადაზე ადრე იქნას აგებული.

ვ. გოგიბერიძე

მოწინავე მეფოლადეთა ძვირფასი თაოსნობა

(სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს კოლეგიაში)

როგორც უკვე ვიუწყებოდით, სტალინის სახელობის მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის № 23 მარტენის ღუმელის მეფოლადეები ამხ. პანჩენკო, როდიჩევი და ხუდიაკოვი ოსტატებთან — სველიევთან და როდიკოვთან ერთად გამოვიდნენ შინაგანი რეზერვების მაქსიმალური გამოყენებისა და საწარმოო დანაკარგების ლიკვიდაციისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად.

გაითვალისწინეს რა თავიანთი შესაძლებლობანი, № 23 მარტენის ღუმელის სტახანოველმა მეფოლადეებმა ვალდებულება იკისრეს 1952 წლის გეგმის გადაჭარბებით გამოადნონ 10 ათასი ტონა ფოლადი, შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება და მოგვცენ 500 ათასი მანეთი ზეგეგმიური წლიური ეკონომია.

ახალი პატრიოტული მოძრაობის ინიციატორმა მეფოლადეებმა ამხ. პანჩენკომ, როდიჩევმა და ხუდიაკოვმა, რომლებიც ნაკისრ ვალდებულებას ასრულებენ, იანვარში გეგმის გადამეტებით მისცეს სახელმწიფოს 1.110 ტონა ფოლადი და თებერვლის 10 დღის განმავლობაში — 715 ტონა ფოლადი.

მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის მოწინავე მეფოლადეთა მოწოდებამ მხარდაჭერა ჰპოვა ჩელიაბინსკის, ზლატოუსტის, უფალეისა და ურალის სხვა მეტალურგიულ ქარხნებში.

13 თებერვალს მაგნიტოგორსკის მეფოლადეთა თაოსნობა განიხილა შავი მეტალურგიის სამინისტროს კოლეგიამ. კოლეგიამ მოიწონა ნოვატორთა ინიციატივა და დაავალა საწარმოთა ხელმძღვანელებს ფართოდ გაავრცელონ მოწინავე მეფოლადეთა თაოსნობა შავი მეტალურგიის ყველა დარგში.

კოლეგიის ამაკე სხდომაზე განხილულ იქნა ზაპოროჟიეს მეტალურგიულ საწარმოთა ტრესტის ფოლადის ქარხნის მეფოლადის, ყოველი ნადნობის ჩქაროსნულა ფეთოდით გამოშვებისათვის შეჯიბრების ინიციატორ იაკიმენკოს თაოსნობის საკითხი. ამის უზრუნველსაყოფად სტახანოველმა მოითხოვა დაეწყოთ უბნებისა და საამქროების ყველა იმ მუშის, ოსტატისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკის შეჯიბრება, რომლებიც ფოლადსადნობ წარმოებას ემსახურებიან.

1952 წელს № 10 მარტენის ღუმელის კოლექტივმა, სადაც მეფოლადეებად არიან ამხ. იაკიმენკო, მარტინოვი და ნებიღიკინი, გადაწყვიტა გამოადნოს რამდენიმე ათასი ტონა ფოლადი იმის გადამეტებით, რაც გამოდნობილ იქნა ამ ღუმელით გასულ წელს.

ამხ. იაკიმენკოს თაოსნობას გამოეხმაურნენ ზაპოროჟიეს მეტალურგიულ საწარმოთა ტრესტის ფოლადის ქარხნის, სტალინოს სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის, ძერჟინსკის სახელობის, პეტროვსკის სახელობის, კიროვის სახელობის ქარხნებისა და სხვა საწარმოების მუშები.

მოიწონა რა მეფოლადე იაკიმენკოს თაოსნობა, შავი მეტალურგიის სამინისტროს კოლეგიამ გადაწყვიტა ფართოდ გაავრცელოს მისი თაოსნობა და განსაკუთრებით აღნიშნოს ყველა უბნისა და საამქროს იმ მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის დიდი მნიშვნელობა, რომლებიც ფოლადსადნობ წარმოებას ემსახურებიან. (საკ. ფსი).

ვ. ჰიუგოს დაბადების 150 წლისთავისათვის

ლენინგრადი. ლენინგრადის საზოგადოებრიობა ემზადება დიდი ფრანგი მწერლის ვ. ჰიუგოს დაბადების 150 წლისთავის აღსანიშნავად. ამ თარიღს მიეძღვნება სამეცნიერო სხდომა მ. გორკის სახელობის მეცნიერთა სახლში. მოსმენილ იქნება მოხსენება „ვიქტორ ჰიუგო და მისი ადგილი XIX საუკუნის პროგრესულ ლიტერატურაში“.

ვ. ჰიუგოს ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევართა ყურადღებას იპყრობს მისი წერილების ავტოგრაფების ძვირფასი კრებული, რომელიც დაცულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პუშკინის სახლის ხელნაწერთა განყოფილებებში და სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში.

ვ. ჰიუგოს წერილები მკაფიოდ ახასიათებენ მას. 1848 წელს მუშა პოეტმა პიერ კოვემ ჰიუგოს გაუგზავნა მისადმი მიძღვნილი ლექსები. პუშკინის სახლში დაცულია დიდი მწერლის საპასუხო წერილის ავტოგრაფი: „თქვენი ლექსები,—წერდა ჰიუგო,—გულის სიღრმემდე ჩაწვდა. ყოველთვის ეიქნება მეგობარი ჩემთვის ძვირფასი და პატიოსანი ხალხისა, რომელსაც ატყუებენ,—მსურს ვემსახურო მას და ვიხსნა იგი. გმადლობთ, გმადლობთ, ბატონო და ღირსეულო პოეტი“.

კიევი. დღეს კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში გაიხსნა დიდი ფრანგი მწერლის ვიქტორ ჰიუგოს დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურის უხვად ილუსტრირებული გამოფენა.

16 თებერვალი. (საკ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ ა რ ტ ი უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

კომუნისტები ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში

ტყიბულის ქვანახშირის საბადო ერთ-ერთ რთულ საბადოდ ითვლება საბჭოთა კავშირის ქვანახშირის საბადოთა შორის. ეს სირთულე გამოწვეულია ქვანახშირის სქელი ფენების არსებობით. სწორედ სქელი ფენების დამუშავების პროცესების მექანიზაციისაკენ არის მიმართული მოწინავე მეშახტეების, ინჟინრების, მექანიკოსების ტექნიკურ-შემოქმედებითი აზრი.

სტალინის სახელობის შახტი არა მარტო საქართველოს, არამედ საბჭოთა კავშირის მასშტაბით პირველი მეუდგა ქვანახშირის სქელი ფენების დამუშავების ყველაზე მოწინავე და რენტაბელური — ჰიდრავლიკური ვსების მეთოდით, რამაც უზრუნველყო ქვანახშირის მაღალხარისხოვნად, უსაფრთხოდ და უდანაკარგოდ მეტი რაოდენობით ამოღება. დამუშავების ახალ მეთოდზე გადასვლამ დღის წესრიგში დააყენა ქვანახშირის მონგრევასთან დაკავშირებული მთელ რიგ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, მძლავრი, თანამედროვე საბჭოთა ტექნიკით აღჭურველი სავსები მასალის დამამზადებელი საკარიერო მეურნეობის შექმნა.

ახალი ტექნიკის დანერგვა-ათვისებაში დიდი წვლილი შეიტანეს შახტის პარტიულმა ორგანიზაციამ, მეშახტე კომუნისტებმა. ისინი არიან ამ კეთილშობილური, ნოვატორული საქმის ინიციატორები, ყოველმხრივ უწყობენ ხელს ახალი, მოწინავე ტექნიკის დანერგვას.

გასული წლის მაისში შახტის პარტიულმა ბიურომ გამოჰყო კომისია კომუნისტების გ. ენდელაძის, ს. კუბლაშვილის, ე. ჭელიშვილის და ს. კოპალეიშვილის შემადგენლობით. კომისიას დაევალა შეემოწმებინა მექანიზმების დანერგვა-გამოყენების საკითხი. გამოირკვა, რომ სავსები მასალის დამამზადებელ კარიერზე მექანიზმებს სრული დატვირთვით ვერ იყენებდნენ. პირველ და მეორე უბნებში მოგვარებული არ იყო საშახტო ვაგონების მექანიზებული გაგორება, რის გამოც ადგილი ჰქონდა მტვირთავების მოცდენის შემთხვევებს, მოუგვარებელი იყო შახტიდან წყლის ამოტუმბვა. მრავალი მექანიზმი უყურადღებობის გამო ცუდად მუშაობდა. კომისიის მიერ გამოვლინებული ნაკლოვანებები კომუნისტების მსჯელობის საგანი გახდა.

გასული წლის 7 ივნისს პარტიულმა კრებამ შახტში მექანიზმების დანერგვა-გამოყენების ღონისძიებათა საკითხი განიხილა. კომუნისტმა შ. კაკაბაძემ წამოაყენა წინადადება ჰიდრავლიკური ვსების პროცესების მთლიანი მექანიზაციის შესახებ. ამ წინადადებამ ფართო მხარდაჭერა ჰპოვა. შახტის ინჟინერთა, ტექნიკოსთა და ნოვატორ მეშახტეთა შემოქმედებითი აზრი მიმართულ იქნა წარმოების „ვიწრო ადგილების“ ლიკვიდაციისაკენ, ახალი მექანიზმების დანერგვისა და არსებული მექანიზმების სიმძლავრის მაქსიმალური გამოყენებისაკენ.

ჰიდრავლიკური ვსების დროს მთავარი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მაღალხარისხოვანი სავსები მასალის შეუფერხებელ მიწოდებას გამონამუშევრებში. გამოცდილებამ ცხადყო, რომ თუ საკარიერო მეურნეობა ვერ აკმაყოფილებს შახტის გაზრდილ მოთხოვნას სავსებ მასალაზე, ირღვევა მუშაობის რიტმი, მცირდება სამუშაო ფრონტი, დიდდება სამთო გამონამუშევრების შენახვაზე გათვალისწინებული ხარჯები.

საკარიერო მეურნეობის წარმადობის გადიდების მიზნით კომუნისტმა ინჟინერმა მ. კიკვაძემ დააყენა და პრაქტიკულად განახორციელა არსებული სამკუთხოვანფიგურებიანი ღერძული ცხრილების შეცვლა მრგვალფიგურებიანი ღერძული ცხრილებით. ამ ტექნიკური ცვლილებების შეტანით გაუმჯობესდა სავსები მასალის ხარისხი, გადიდდა საკარიერო მეურნეობის წარმადობა.

კომუნისტი მექანიკოსის დ. გვენეტაძის წინადადებით სავსები მასალის გამტარი მაგისტრალის ავანკამერაზე დაიდგა დიდი მოცულობის უძრავი ცხრილი, რამაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესა სავსები მასალის რეგულარული გატარება, გააადვილა შრომა.

პარტიული ორგანიზაციის ჩარევით დაისვა წყლისა და ქვაქვიშის ამრეცი ახალი მოედნის მშენებლობის საკითხი, გადაკეთდა სავსები მასალის გამტარი მაგისტრალური ქსელი, რამაც გაუმჯობესა შორეულ არეებში სამთო გამონამუშევრების ვსებითი სამუშაოების წარმოება. ამ საქმეზე ენერგიულად იმუშავეს კომუნისტმა ინჟინერებმა ბ. ჯალაღანიამ, ალ. ტურძელაძემ, მექანიკოსმა მ. სოფრომაძემ და სხვებმა.

მეორე საექსპლოატაციო უბანი, რომელსაც სამთო ინჟინერი კომუნისტი მ. ვერულაშვილი ხელმძღვანელობს, ერთ-ერთი დიდი უბანია შახტში. ამ უბნის ჰიდრავლიკური ვსების მეთოდზე გადასვლის პირველი დღეებიდანვე სერიოზული სიძნელეები გადაეღობა, რამაც შეაფერხა ქვანახშირის ამოღება. პარტიული ორგანიზაციის ყოველდღიური ზრუნვით, სტახანოველი კომუნისტების ივ. ორჯონიკიძის, დ. სუქნიძის, ალ. ფორჩხიძის, დ. სოფრომაძის, აგრეთვე უბნის მთელი კოლექტივის თავდადებული მუშაობით სიძნელეები გადალახულ იქნა. საშახტო ვაგონებში ქვანახშირის ჩასატვირთავ ბუნკერებთან მოეწყო ვაგონების ირგვლივი მექანიზებული გაგორება, რამაც მუშაობიდან გაათავისუფლა სამი გამგორი, რომლებიც გამოყენებულ იქნენ სხვა სამუშაოზე. უბანში ტვირთის გამტარობა გადიდდა ერთიორად და უფრო მეტად, გაუმჯობესდა ხელოვნური ზღუდარების მოწყობა, რამაც გააიოლა გამომუშავებული სივრცის ვსებითი სამუშაოების წარმოება. თვითეული ლავის ვსების დრო შემცირდა სულ მცირე ერთი დღით. აღნიშნულ ტექნიკურ-ორგანიზაციულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად უბანმა ქვანახშირის ამოღების იანვრის გეგმა 5 დღით ადრე შეასრულა.

ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლას სათავეში უდგანან კომუნისტები ნ. ტაბატაძე, ს. ცირეკიძე, ვ. ივანენკო, ი. იოსელიანი, გ. ბოჟორიშვილი, ს. კოპალეიშვილი, ნ. მოსეშვილი, ი. ჭელიშვილი და სხვები, რომელთა ნოვატორული აზრი წინ სწევს ქვანახშირის ამოღების საქმეს, აიოლებს და უშიშარს ხდის მეშახტის შრომას.

ახალი ტექნიკის დანერგვა-გამოყენებით სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა ქვანახშირის ამოღების იანვრის დავალება მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა და რამდენიმე ათასი მანეთი დაზოგა.

მოპოვებული მიღწევებით მეშახტეები როდი კმაყოფილდებიან. დასახულია და უკვე ხორციელდება მრავალი ტექნიკური ღონისძიება: დამონტაჟების პროცესშია წუთში 100-კუბმეტრიანი სიმძლავრის კომპრესორი, რომელიც დიდად გაუმჯობესებს შახტის შეკუმშულ ჰაერზე მომუშავე პერფორატორების, მომნგრევი უროებისა და ჯალამბრების მუშაობას. დამატებით ეწყობა სამთო გამონამუშევრების დღის სინათლის ელნათურებით განათება. გათვალისწინებულია აგრეთვე სამთო გამონამუშევრების განიავების გაუმჯობესება, ელექტროქსელისა და საშახტო ტრანსპორტის შემდგომი გადიდება.

ვ. ცირეკიძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ფეიქართა მორიგი გამარჯვება

კუთაისი. (საკ. კორ.). მაუდის ფაბრიკის კოლექტივმა გასული წლის დავალება 108,6 პროცენტით შეასრულა. ფეიქრებმა განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს მეოთხე კვარტალში, მზა პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულეს 105 პროცენტით, თვალსაჩინოდ გააუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი, დაზოგეს 1.500 კილოგრამი მატყლი და 2.400 კილოგრამი ნართი.

მოპოვებულ წარმატებათა გამო ფაბრიკამ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებს შორის დაიკავა პირველი ადგილი და იმავე სამინისტროს და საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი დროშა შეინარჩუნა. ამავე მაჩვენებლებით ფაბრიკას სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში მიეკუთვნა მესამე ადგილი.

პროდუქცია გეგმის გადამეტებით

სამტრედია. (საკ. კორ.). ხორცკომბინატის კოლექტივი, რომელმაც წარმატებით დაამთავრა გასული სამეურნეო წელი, ნაყოფიერად მუშაობს მიმდინარე წლის დავალებათა ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

კომბინატმა ძეხვის გამოშვების იანვრის გეგმა 101,7 პროცენტით შეასრულა, ხოლო ხორცის გადამუშავებისა — 166,2 პროცენტით.

ნახევარი საუკუნე რკინიგზის ტრანსპორტზე

ამიერკავკასიის რკინიგზაზე კარგად იცნობენ ზაქარია დავითის-ძე ნატროშვილს. იგი 50 წელიწადია განუწყვეტლად მუშაობს ტრანსპორტზე.

ზაქარია ნატროშვილმა რკინიგზაზე სამსახური 1901 წელს დაიწყო და თავიდანვე ახლო იდგა რევოლუციურად განწყობილი რკინიგზელებთან. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ზ. ნატროშვილი მთელი მონდომებით ემსახურება სოციალისტური ტრანსპორტის აღმავლობის საქმეს. იგი ყოველთვის თაოსნობას იჩენდა იმ ღონისძიებათა განხორციელების საქმეში, რომლებსაც ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა სახავდნენ ტრანსპორტის მუშაკთა წინაშე.

ამხ. ზ. ნატროშვილი რკინიგზელთა პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს. იგი თავის გამოცდილებას ხალისით უზიარებს და გულისხმიერად ზრდის ახალგაზრდა კადრებს.

საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასა ზ. ნატროშვილის თავდადებული შრომა რკინიგზის ტრანსპორტზე და დააჯილდოვა იგი ლენინის ორდენით, მედლით „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“, „საპატიო რკინიგზელის“ და „წარჩინებული ადმინისტრატორის“ ნიშნებით.

მიუხედავად მოხუცებულობისა ამხ. ზ. ნატროშვილი კვლავაც ახალგაზრდული ენერგიით ემსახურება რკინიგზის ტრანსპორტს, ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს.

თვითეული საწარმოო ოპერაციის საუკეთესო ხარისხით შესრულებისათვის

ნოვატორთა გამოცდილების დანერგვით

საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის მუშაობა და მისი აღრიცხვა კარგად არის მოწესრიგებული ხაშურის სავაგონო დეპოში, სადაც გეგმებისა და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების აღრიცხვისათვის ყველა მომუშავეზე შემოღებულია პირადი ანგარიში. აღრიცხვის ამ წესით დაზუსტებულ იქნა, რომ № 621787 ვაგონზე, რომელიც კაპიტალური შეკეთებიდან 15 საათით ადრე გამოუშვეს, დურგალმა ვლადიმერ მარჯანიძემ საღურგლო სამუშაოები საუკეთესო ხარისხით შეასრულა, დაზოგა 1,25 კუბმეტრი ხის მასალა, აგრეთვე 40 მანეთი ღირებულების ლურსმანი და ჭანჭიკები. აღნიშნული ვაგონის შეკეთებაზე საზეინკლო სამუშაოები ზეინკლებმა სიმონ ქიტიაშვილმა და თედო ირემაძემ ნორმით გათვალისწინებული 11 საათის ნაცვლად 9 საათში საუკეთესო ხარისხით შეასრულეს. ასევე ვაგონზე 2 საათით ადრე და საუკეთესო ხარისხით შეასრულეს სამუშაოები მხურავმა ვლადიმერ ტაბუსაძემ, მექვაბეებმა დიმიტრი ქიმერიძემ, გიორგი ჩადუნელმა, შიხეილ ბუღაძემ და მღებავმა ნიკოლოზ არჯევანიძემ.

წელს 15 იანვრამდე საორთქლმავლო დეპოში 5 ორთქლმავალია გამოშვებული გარეცხვითი შეკეთებიდან. მათი შეკეთების მაღალ ხარისხს ის ფაქტი ადასტურებს, რომ ამ ორთქლმავლებზე არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა გარეცხვათაშორისი შეკეთებისა. ამავე დროს აღნიშნული ორთქლმავლები ნორმასთან შედარებით შეკეთებიდან ერთნახევარი-ორი საათით ადრე გამოუშვეს. აწევითი შეკეთებიდან 11 იანვარს გამოშვებული ელმავალი № 22-179 სრულიად შეუფერხებლად მუშაობს, რაც იმის შედეგია, რომ აწევითი საამქროს ოსტატ გიორგი გამგონიძის ხელმძღვანელობით მთელი სამუშაო მხოლოდ საუკეთესო ხარისხით შესრულდა.

საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ აგრეთვე სალიანდაგო და კავშირგაბმულობის დისტანციების, სადგურის, ენერგომომარაგების და კვანძის სხვა საწარმოთა კოლექტივები. მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას ხელს უწყობს ისიც, რომ თვით მომუშავენი ერთმანეთის მიერ შესრულებულ სამუშაოს ხარისხს ამოწმებენ და უხარისხო პროდუქციას არ იღებენ.

კვანძის საწარმოთა პარტიული, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციები სათავეში უდგანან სოციალისტურ შეჯიბრებას თვითეული საწარმოო ოპერაციის საუკეთესო ხარისხით შესრულებისა და თვითეულ საწარმოო ოპერაციაზე თვითღირებულების შემცირებისათვის.

შ. გურგენიძე

რკინიგზის ხაშურის კვანძის პარტიული კომიტეტის მდივანი

სოციალისტური შეჯიბრების შედეგად

თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნის კოლექტივი აქტიურად გამოეხმაურა ლიუბლინელი ხარატების ა. ჟანდაროვასა და ო. აგაფონოვას თაოსნობას.

ქარხანაში გაშლილ სოციალისტური შეჯიბრების მთავარ პირობად დასახულია შრომის ნაყოფიერების ამაღლება და საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვება. გასულ წელთან შედარებით წელს მანქანათმშენებლები ყოველდღიურად 10 პროცენტით მეტ პროდუქციას უშვებენ. ქარხნის კოლექტივმა ენერგიული მუშაობით იანვრის საწარმოო დავალება გადაჭარბებით შეასრულა და მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქცია გამოუშვა. გადაჭარბებით სრულდება თებერვლის ყოველდღიური დავალებაც.

წუნის აღმოფხვრას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას დიდად შეუწყო ხელი მუშათა თვითკონტროლის გაძლიერებამ. მქედელმა მ. ოგანეზოვმა ტვიფრის დეტალები დაამზადა ნამატის დიდი დაშვებით, რაც მასალის ზედმეტ ხარჯვასთან ერთად მოითხოვდა დიდ დროს დეტალის სახარატო დამუშავებისათვის. სტახანოველმა ხარატმა ა. რობაქიძემ აღნიშნული დეტალი სამჭედლო საამქროს უკან დაუბრუნა. ამწყობი საამქროს სტახანოველი ზეინკლები კ. ბუბაშვილი, პ. თვაური, შ. მზარეულაშვილი გულდასმით ამოწმებენ წინა ოპერაციებიდან საამქროში ასაწყობად მიღებულ ნაწილებს და არაკეთილხარისხოვნად დამზადებულ ნაწილებს იმ საამქროს უბრუნებენ, რომელმაც დაამზადა.

ამ ღონისძიების განხორციელებით ქარხანაში მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას უშვებენ. მუშათა დიდი უმრავლესობა საწარმოო გეგმებს ერთიორად და მეტი გადაჭარბებით ასრულებს და ნედლეულისა და დამხმარე მასალების საგრძნობ ეკონომიას აღწევს.

მ ე ქ ა ნ ი კ ო ს თ ა ა ხ ა ლ ი წ ა რ მ ა ტ ებ ა

რუსთავი. (საკ. კორ.). საკავშირო პროფსაბჭომ და მძიმე მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრომ შეაჯამეს სამშენებლო ორგანიზაციებისა და საწარმოების საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების საკუთარი წლის მეოთხე კვარტალის შედეგები. ჟიურის გადაწყვეტილებით ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მექანიკურ ქარხანას მიეკუთვნა მესამე პრემია — 15.000 მანეთი.

მექანიკური ქარხნის კოლექტივი უფრო მეტი ენერგიით იბრძვის მომდინარე წლის პირველი კვარტალის საწარმოო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

პ რ ო ბ ლ ე მ ა ნ დ ი ს ზ ე გ ი ს ა და საღამოს პარგიული სკოლების მასწავლებელთა სემინარი

საქართველოს კ. ბ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტმა მოაწყო საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი მაღალი ტიპის წრეების პროპაგანდისტთა და პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან არსებული საღამოს პარტიული სკოლების მასწავლებელთა ხუთდღიანი საოლქო სემინარი.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს ლექციები პარტიული და საბჭოთა მშენებლობის, აგრეთვე სოციალისტური სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკითხებზე. ლექციები წაიკითხეს მაღალკვალიფიციურმა ლექტორებმა.

პროპაგანდისტთა ამოცანების შესახებ ლექცია წაიკითხა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ფოფხაძემ.

ფეიქართა მორიგი გამარჯვება

** კუთაისი.** (საკ. კორ.). მაუდის ფაბრიკის კოლექტივმა გასული წლის დავალება 108,6 პროცენტით შეასრულა. ფეიქრებმა განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს მეოთხე კვარტალში, მზა პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულეს 105 პროცენტით, თვალსაჩინოდ გააუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი, დაზოგეს 1.500 კილოგრამი მატყლი და 2.400 კილოგრამი ნართი.

მოპოვებულ წარმატებათა გამო ფაბრიკამ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებს შორის დაიკავა პირველი ადგილი და იმავე სამინისტროს და საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი დროშა შეინარჩუნა. ამავე მაჩვენებლებით ფაბრიკას სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში მიეკუთვნა მესამე ადგილი.

კ ო ნ ს უ ლ ტ ა ც ი ა

შრომის მიხედვით განაწილების პრინციპი სოციალიზმის ეკონომიური კანონია

„უკანასკნელი 30 წლის მანძილზე,— გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — რუსეთში მოისპო ძველი, კაპიტალისტური ბაზისი და აშენდა ახალი, სოციალისტური ბაზისი“. სოციალისტური ბაზისი ემყარება სახალხო მეურნეობის საბჭოთა სისტემას და წარმოების იარაღებისა და საშუალებების საზოგადოებრივ, სოციალისტურ საკუთრებას.

საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების გაძარჯვების შედეგად შრომამ დაკარგა იძულებითი ხასიათი. საბჭოთა ადამიანები შრომობენ არა ექსპლოატატორების გამდიდრებისათვის, არამედ თავისთვის, თავისი სახელმწიფოს, თავისი სამშობლოს გაძლიერებისა და განმტკიცებისათვის.

სსრ კავშირში ადამიანი ფასდება თავისი შრომისა და უნარის მიხედვით. შრომისადმი, როგორც საზოგადოებრივი საქმისადმი, სოციალისტური საზოგადოების წინაშე უპირველესი მოვალეობისადმი კომუნისტური დამოკიდებულება ყოველი საბჭოთა ადამიანის წმიდა მოვალეობაა.

სოციალისტურმა წყობილებამ ძირეულად გარდაქმნა შრომა, მისი ხასიათი და მნიშვნელობა. საბჭოთა საზოგადოებაში მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და ჩაგვრა. შრომა მძიმე და სამარცხვინო ტვირთიდან, როგორიც ის იყო კაპიტალიზმის დროს, სსრ კავშირში გადაიქცა საპატიო მოვალეობად. იგი თავისუფალი და შემოქმედებითი შრომაა, რომელიც მოწოდებულია გარდაქმნას ბუნება და წარმატებით დაძლიოს მისი სტიქიური ძალები.

სოციალისტურ საზოგადოებაში შრომა იძლევა ისეთ მაღალ ნაყოფიერებას, რომელიც მოწვდომელია კაპიტალიზმის პირობებში.

სოციალისტური საზოგადოება შრომას განიხილავს არა როგორც მარტო არსებობის წყაროს, არამედ როგორც ადამიანის ნიჭისა და უნარის გამოვლინებას ასპარეზს. ამიტომ საბჭოთა კავშირში შრომა არის ღირსების, დიდების, მამაცობისა და გმირობის საქმე. სოციალისტურ სახელმწიფოში შრომა საზოგადოებრივი სიმდიდრის წყარო და მშრომელთა კეთილდღეობის განუწყვეტელი აღმავლობის საფუძველია. საბჭოთა ადამიანების გეგმიანი შრომის შედეგია ის უდიდესი მსოფლიო-ისტორიული გარდაქმნები, რომლებიც მოკლე ხანში ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა.

საბუთხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც თავს არიდებენ პატიოსან შრომას, იჩენენ სოციალისტური საკუთრებისადმი ანტისახელმწიფოებრივ დამოკიდებულებას, ანიავებენ, იტაცებენ, ფლანგავენ საზოგადოებრივ საკუთრებას. ქურდი, რომელიც ანიავებს სოციალისტურ საკუთრებას, არაკანონიერი გზით ითვისებს საზოგადოებრივი პროდუქტის ნაწილს, რომლის შექმნაში მას შრომითი მონაწილეობა არ მიუღია. ამხანაგი სტალინი გვასწავლის: „ქურდი, რომელიც სახალხო დოვლათს იტაცებს, ძირს უთხრის სახალხო მეურნეობის ინტერესებს, ის იგივე ჯაშუში და გამცემელია, თუ უარესი არა“.

შრომისადმი, როგორც საზოგადოებრივი საქმისადმი, არაკომუნისტური დამოკიდებულება ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების გამოვლენაა. ამ ნაშთების წინააღმდეგ აუცილებელია გადამწყვეტი ბრძოლის გაშლა.

დღეს საბჭოთა ხალხი ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ახორციელებს კომუნიზმის მშენებლობას. საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომა მიმართულია სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის დაჩქარებისა და კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისაკენ.

* * *

საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილების წესს ჩვენს ქვეყანაში წარმოების წესი განსაზღვრავს. წარმოების წესის ცვლილებასთან ერთად იცვლება განაწილების ხასიათი.

კაპიტალიზმის პირობებში განაწილება ექსპლოატატორული კლასების ინტერესების შესაბამისად ხდება. ზედმეტი ღირებულების სახით კაპიტალისტები ითვისებენ მუშათა კლასის მიერ შექმნილი საზოგადოებრივი პროდუქტის უდიდეს ნაწილს.

კაპიტალიზმის განვითარება იწვევს ერთი მუჭა ექსპლოატატორული კლასების კიდევ უფრო გამდიდრებას და მუშათა კლასის ცხოვრების პირობების სისტემატურ გაუარესებას.

ამჟამად კაპიტალის ქვეყნებში გაბატონებული კლასები ეწევიან გამლეტულ შეიარაღებას, რაც მშრომელთა ცხოვრების პირობების შემდგომ გაუარესებას იწვევს.

სულ სხვა მდგომარეობაა საბჭოთა კავშირში. სოციალისტურმა წყობილებამ მშრომელ მასებს შეძლებული და კულტურული ცხოვრების ყველა შესაძლებლობა მისცა. საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობა სოციალიზმის კანონია.

სტახანოველთა პირველ საკავშირო თათბირზე ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა: „ჩვენი რევოლუციის დამახასიათებელი თავისებურება ისაა, რომ მან მისცა ხალხს არა მარტო თავისუფლება, არამედ მატერიალური სიკეთეც, შეძლებული და კულტურული ცხოვრების შესაძლებლობაც“ („ლენინიზმის საკითხები“, მე-11 გამოცემა, 1951, გვ. 628).

საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილება საბჭოთა კავშირში სოციალისტური პრინციპების საფუძველზე ხდება. მისი ერთი ნაწილი ხმარდება წარმოების პროცესში გაცვეთილ წარმოების საშუალებათა აღდგენას. მეორე ნაწილი ახლად შექმნილი პროდუქტია, ნაციონალური (სახალხო) შემოსავალია, რომელიც მიდის საზოგადოების წევრთა პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა (ხელფასი, შრომადღის ანაზღაურება) და დაგროვების და საზოგადოებრივი მოხმარების ფონდში.

ჩვენს ქვეყანაში მთელი ნაციონალური შემოსავალი მშრომელებს ეკუთვნის. იგი ნაწილდება მხოლოდ და მხოლოდ მათი ინტერესების სასარგებლოდ. 1951 წელს ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა საკუთარი პირადი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მიიღეს ნაციონალური შემოსავლის სამი მეოთხედი. ნაციონალური შემოსავლის დანარჩენი ერთი მეოთხედი დარჩა სახელმწიფოს, კოლმეურნეობებისა და კოოპერაციული ორგანიზაციების განკარგულებაში სოციალისტური წარმოების გასაფართოებლად, აგრეთვე საერთო სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის. ამრიგად, ნაციონალური შემოსავლის ეს ნაწილიც ხმარდება მთელი საბჭოთა საზოგადოების, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის ინტერესებს.

საბჭოთა ხალხი აწარმოებს არა მარტო იმ პროდუქტს, რომელსაც იგი პირადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იღებს, არამედ განსაზღვრულ გარდამტესაც საზოგადოებრივ ერთობლივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, ე. ი. ზედმეტ პროდუქტს. ზედმეტი პროდუქტის წარმოების გარეშე ვერც ერთი საზოგადოება, მათ შორის სოციალისტური საზოგადოებაც ვერ იარსებებს.

სოციალისტურ საზოგადოებაში ზედმეტი პროდუქტის ზრდა არ იწვევს აუცილებელი პროდუქტის შემცირებას. პირიქით, მისი ზრდა აუცილებელი პირობაა მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ზედმეტი პროდუქტი ხმარდება წარმოების შემდგომ გაფართოებას, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, ჯანმრთელობის, განათლებისა და სხვა საქმეს.

* * *

საზოგადოებრივი შრომის ორგანიზაციის კანონი სოციალიზმის დროს არის შრომის მიხედვით განაწილების სოციალისტური პრინციპი. იგი ორგანულად გამომდინარეობს სოციალისტური ბაზისის ბუნებიდან. საბჭოთა კავშირში განხორციელებულია სოციალიზმის პრინციპი: „თვითეულისაგან — თავისი უნარის მიხედვით, თვითეულს — თავისი შრომის მიხედვით“. „სოციალიზმის პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში თვითეული მუშაობს თავისი უნარის მიხედვით, და მოხმარების საგნებს იღებს არა თავისი მოთხოვნილების, არამედ იმ მუშაობის მიხედვით, რომელიც მას საზოგადოებისათვის გაუწევია“ (ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, მე-11 გამოც., გვ. 623).

შრომის მიხედვით განაწილების სოციალისტური პრინციპი ეფუძნება ეკონომიურ ფაქტს, ეს ფაქტი ასეთია: ადამიანებს ერთნაირი მოთხოვნილება ექნებოდა, ერთნაირ ბინებში ცხოვრობდნენ, ერთნაირ ტანსაცმელს ატარებდნენ, ერთნაირ საკვებ პროდუქტებს მიიღებდნენ, ერთნაირ ოჯახურ საქმეებს ეკეთებოდნენ, ერთნაირ კულტურულ-საგანმანათლებლო, ინტელექტუალურ, ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ, ბიოლოგიურ, ანატომიურ-ფიზიოლოგიურ, ბიოლოგიურ-ანატომიურ, ანატომიურ-ბიოლოგიურ, ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიურ, ფიზიოლოგიურ-ანატომიურ, ანატომიურ-ფიზიოლოგიურ, ბიოლოგიურ-ანატომიურ, ანატომიურ-ბიოლოგიურ, ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიურ, ფიზ

მოწინავე საჭრაქჭორო ბრიგადა

— ყოველმხრივ მაღალნაყოფიერად გამოვიყენებთ იარაღ-მანქანებს, ავამაღლებთ მექანიზაციის დონეს, გავადიდებთ ყველა კულტურის მოსავლიანობას — ამ გადაწყვეტილებით მუშაობს გურჯაანის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი კომუნისტი პეტრე სეფიაშვილი. იგი წარმატებით დაეუფლა თავის სპეციალობას, მტს-ში ორი ათეული წლის მანძილზე წარმატებით ასრულებს ყველა დავალებას, სარგებლობს კარგი ავტორიტეტით, გამოირჩევა საწარმოო დისციპლინით და საქმის დიდი სიყვარულით. მოწინავე ბრიგადირმა აღზარდა 20 ტრაქტორისტი, რომლებიც წარმატებით მუშაობენ.

პ. სეფიაშვილის ბრიგადას მუშაობა უხდება სოფელ ვეჯნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ფართობებზე. აქ ნიადაგები მძიმე, ტენიანი და ძნელად დასამუშავებელია. ეს დაბრკოლება მექანიზატორმა პ. სეფიაშვილმა თავიდანვე გაითვალისწინა და მანქანებისა და კადრების სწორი გამოყენებით საუკეთესო შედეგსაც მიაღწია. ამის გამო კოლმეურნეობას, რომელსაც წინათ აუთვისებლობის გამო მიწები არ ჰყოფნიდა, ამჟამად 864 ჰექტარი მარტო სახნავ-სათესი აქვს. მაგრამ მექანიზატორები მიღწეულით როდი კმაყოფილდებიან, მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დამატებით დაამუშაონ, აითვისონ და კოლმეურნეობას შემატონ დღემდე გამოუყენებელი 200 ჰექტარი ფართობი, ამავე დროს საკოლმეურნეო მიწებზე ხორბლის მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე 25-30 ცენტნერამდე აიყვანონ.

მტკიცე დისციპლინისა და შრომის დიდი ნაყოფიერებით ცნობილი არიან პ. სეფიაშვილის ბრიგადის წევრები. აქ 5 ტრაქტორზე 10 ტრაქტორისტი მუშაობს. გ. ბიაშვილმა „ს-80“ ტრაქტორით თავის ცვლაში ნაცვლად გათვალისწინებული 786 ჰექტარისა 1.200 ჰექტარი დაამუშავა და 1.883 კილოგრამი საწვავი დაზოგა, ვ. ზავრაშვილმა კი „სტზ-ნატი“ ტრაქტორით 420 ჰექტარის ნაცვლად 837 ჰექტარი დაამუშავა და თითქმის ამდენივე კილოგრამი საწვავის ეკონომია მისცა სახელმწიფოს. ასეთსავე წარმატებებს მიაღწიეს ტრაქტორისტებმა ნ. ბამისმედაშვილმა და სხვ. მთლიანად ბრიგადამ 1951 წელს კოლმეურნეობაში სხვადასხვა სამუშაო 3.804 ჰექტარზე შეასრულა, გეგმას მნიშვნელოვნად გადაჭარბა და თითქმის ოთხი ტონა საწვავი დაზოგა. ბრიგადაში თვითეული 15-ძალიანი ტრაქტორის წლიური გამომუშავება აყვანილია 684 ჰექტარამდე.

მექანიზატორები არ ივიწყებენ, რომ გეგმის წარმატებით შესრულებასთან ერთად, საჭიროა გულმოდგინედ იზრუნონ და საუკეთესოდ შეინახონ მანქანები. მოვლის ღონისძიებათა სწორი გამოყენებით ტექმოვლაზე ბრიგადის მიერ დაზოგილია თორმეტი ათას მანეთზე მეტი.

ამჟამად ბრიგადის ყველა ტრაქტორი და მისაბმელი ინვენტარი წესრიგზეა. მექანიზატორებს შორის ფაროდ არის გაწილი სოციალისტური შეჯიბრება წელს უფრო მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მისაღწევად.

ვ. ჯილოლავა

გურჯაანის მტს-ის დირექტორის მოადგილე პოლიტნაწილში

მეჯი ყურადღება ჩაის სამუშაოებს

ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე დ. ჭურღულია) ჩაის პლანტაციების დაბარვის გეგმა ვადაზე შესრულდა. პირველ ბრიგადაში, რომელსაც ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თამარ ყუფუნია ხელმძღვანელობს, ბარვის დავალება იანვარში შეასრულეს. მოწინავენი არიან მეხუთე და მერვე ბრიგადებიც. კოლმეურნეობაში წარმატებით ემზადებიან ჩაის გასხვლისათვის.

გასულ წელს ახალსოფლის ბერიას სახელობის და სოფელ რიყის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობებს შორის გაშლილი იყო სოციალისტური შეჯიბრება. ნაკისრი ვალდებულებანი ორივე კოლმეურნეობაში წარმატებით შეასრულეს, სახელმწიფოს ათეულ ტონობით მისცეს ჩაი გეგმის გადამეტებით. რიყელი კოლმეურნეები ამ წარმატებისათვის ცოტას როდი უმადლიან ახალსოფლელებს, რომლებისგანაც პლანტაციების დამუშავებისა და ფოთლის კრეფის ძვირფასი გამოცდილება მიიღეს. შეჯიბრება წელსაც გრძელდება. 175 ჰექტარიდან შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობაში დაბარეს 124 ჰექტარი, პლანტაციებში გარდა ფოსფორისა და კალიუმისა შეიტანეს ორგანული სასუქებიც, მოაწესრიგეს საღრენაჟო არხები, გააძლიერეს პლანტაციების დაცვა.

მაგრამ ჩაის სამუშაოები ბევრგან კვლავ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. სოფელ რუხის ბერიას სახელობის გამსხვილებულ კოლმეურნეობაში ჭიანურდება ჩაის პლანტაციების დაბარვა. ს. აბასთუმნის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. ზარანდია) ჩაის პლანტაციებს წლების განმავლობაში ცუდად ამუშავებენ. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე არ დაუმუშავებიათ ათეულ ჰექტარობით ჩაი, ამის გამო კოლმეურნეობაში დაბალია მოსავლიანობა. როგორც ეტყობა, აბასთუმანში არც წელს ფიქრობენ მდგომარეობის გამოსწორებას.

ბრკოლდება პლანტაციებში სასუქების შეტანა, რაც გამოწვეულია რაიონში მისი შემოზიდვის მოუწესრიგებლობით. „ტეხკულტსნაბიდან“ მისაღები 1.270 ტონიდან დღემდე ფოსფორი რაიონს უმნიშვნელო რაოდენობით აქვს მიღებული.

რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ ჩამორჩენის დროზე გამოსწორებისათვის.

ვ. მესხია

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ჩვენ გვწერენ

26 ათასი მანეთი დახარჯეს, ეღელვროკიოსკი არ აუგეს

ეს იყო 1949 წელს. დაბა აბაშაში, რკინიგზის სადგურის გადაღმა, ორჯონიკიძის ქუჩაზე აბაშის რაისაბჭოს აღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ გადაწყვიტა აეგო ელექტროკიოსკი, რომელიც მომსახურებას გაუწევდა მუშამოსამსახურეთა და ნორიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა ოჯახებს.

მაგრამ ამ გადაწყვეტილებას განხორციელება არ ეღირსა. მშენებლობა კი რატომღაც შეჩერდა, რის გამო სანახევროდ აგებული ელექტროკიოსკი, რაზეც 26 ათასი მანეთი დაიხარჯა, უყურადღებობით დაზიანდა, საშენ მასალასაც ბოროტმოქმედნი ანიავებენ.

ვ. გუხაიძე
ვ. ჭანტურია
ე. მიქავა

გამოუქვეყნებელი წერილების

კვადაკვად

სავაჭრო წესების დარღვევისათვის

მუშაკორი „კომუნისტის“ რედაქციას სწერდა, რომ თბილპურვაჭრობის № 164-165 პურის მაღაზიის გამგე გ. ფხაკაძე სავაჭრო წესებს არღვევს და მომხმარებლებს წონაში ატყუებს. წერილი შესამოწმებლად და საჭირო ზომების მისაღებად გადაეგზავნა თბილპურვაჭრობის დირექტორს ამხ. ი. გვასალიას, რომელიც გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. მაღაზიის გამგე გ. ფხაკაძე მოხსნილია სამუშაოდან და მისი საქმე გადაეცა რაიონის პროკურატურას.

ყაღბი ცნობების მიმწოდებელი

„კომუნისტის“ რედაქციაში შემოსული იყო წერილი, რომლის ავტორი გვწერდა, რომ გურჯაანის რაიონის სოფელ შრომის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიმეობის ფერმაში ფრინველის აღრიცხვა სწორად არ იყო დაყენებული, რაიონის ხელმძღვანელი ორგანოებს აწვდიდნენ ყალბ ცნობებს და ზედმეტად აჩვენებდნენ 234 ქათამს.

წერილი შესამოწმებლად გადაეგზავნა გურჯაანის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომს. როგორც აღმასკომის თავმჯდომარე ა. ჩიგილაშვილი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. საკითხი განიხილა აღმასკომმა. კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს გ. ძამიაშვილს და ბუხჰალტერ მ. ბერიკაშვილს გამოეცხადათ საყვედური. კოლმეურნეობის გამგეობას დაეკვალა აანაზღაურებინოს დამნაშავე პირებს 234 ქათამი.

აღმასკომმა რჩევა მისცა კოლმეურნეთა საზოგადო კრებას გაათავისუფლოს სამუშაოდან მექათმეობის ფერმის გამგე გოჩიაშვილი.

ბერძენ პაჭრიოტთა ნათესავების მიმართვა ი. ბ. სტალინისადმი

ნიუ-იორკი, 16 თებერვალი. (საკდესი). ვაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის მოვალეობის ამსრულებელმა ს. კ. ცარაპკინმა გუშინ გენერალური ასამბლეის მე-6 სესიის თავმჯდომარეს ბ-ნ პაღილია ნერეოს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა:

„ბატონო თავმჯდომარე! სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის სახელზე მიღებულია სიკვდილმისჯილ ბერძენ პატრიოტთა ნათესავების შემდეგი მიმართვა:

„სამი თვეც არ გასულა მას შემდეგ, რაც ათენის საგანგებო ტრიბუნალმა თავისი ლაკვიდაციის წინ სიკვდილი მიუსაჯა 12 ბერძენ დემოკრატს (7 მამაკაცსა და 5 ქალს) იმისათვის, რომ მათ კატეგორიული უარი განაცხადეს ხელი აეღოთ თავიანთ პოლიტიკურ რწმენაზე. საბერძნეთისა და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით განაჩენი სისრულეში არ მოუყვანიათ, ვაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საბერძნეთის წარმომადგენელმა კი ოფიციალურად განაცხადა, აღნიშნულ სიკვდილმისჯილთ სიკვდილით დასჯა არ მოელით, რადგან მათზე გავრცელდება შეწყალების ღონისძიებანი, რომლებსაც საბერძნეთის მთავრობა ამუშავებსო.

ნამდვილად კი საბერძნეთის მთავრობას არა სურს, რომ ჩვენი მრავალტანჯული ქვეყანა დაშეშინდეს და იმის მომხრეები, რომ სამუდამოდ დამკვიდრდეს განხეთქილება და სიძულვილი. სიკვდილმისჯილი 14 კაციდან ექვსს—ბელოიანნისს, გრამენოსს, კანელოპულოსს, კალოფოლიასს, იოანიდუს, გეორგიადუს 1952 წლის 15 თებერვალს კვლავ აძლევენ სამართალში იმ „დანაშაულობათა“ მეზღლით, რომლებისთვისაც ისინი უკვე გასამართლეს და სიკვდილი მიუსაჯეს. არც ერთი ბრალდებული სამხედრო მოსამსახურე არ არის და ჩვენი ქვეყანა საომარ მდგომარეობაში არ იმყოფება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბრალდებულთ გასამართლებს მუდმივი სამხედრო ტრიბუნალი 375-ე კანონის დარღვევის ბრალდებით, რომლითაც ისჯებიან სამხედრო დამნაშავეები სამშობლოს ღალატისა და ჯაშუშობისათვის.

დამახასიათებელი ისაა, თუ როგორ მზადდება ეს გასამართლება: ბრალდებულნი იმყოფებიან ასფალიაში (საბერძნეთის სიიდუმლო პოლიცია. **რედ. შენიშვნა**) სასტიკად იზოლირებულნი, მათ თავიანთი ადვოკატების ნახვაც კი აკრძალული აქვთ. ამავე დროს პრესა ამუშავებს საზოგადოებრივ აზრს, სისტემატურად ილაშქრებს ბრალდებულთა წინააღმდეგ. შემდეგ მოულოდნელად 1952 წლის 15 თებერვლისათვის ინიშნება პროცესი ისე, რომ ადვოკატებს საშუალება არა აქვთ შეისწავლონ თავიანთ მარწმუნებელთა მთელი ვრცელი საბრალდებო მასალა.

აქ არავის არ მიაჩნია საეჭვოდ, რომ მუდმივი სამხედრო ტრიბუნალი მათ კიდევ გამოუტანს სასიკვდილო განაჩენს. უფრო მეტიც, ამტკიცებენ, რომ სასიკვდილო განაჩენის გამოტანის სამი დღის შემდეგ ყველა სიკვდილმისჯილს დახვრეტენ.

ამათი ოჯახების სახელით, ვისაც სიკვდილი აქვს მისჯილი და ახლა კვლავ აძლევენ სამართალში, მოვიწოდებთ ყველა პატიოსან და ჰუმანურ ადამიანს იბრძოლონ ბერძენი პატრიოტებს დასაცავად და მოითხოვონ, რომ აღარც ერთი წვეთი სისხლი არ დაიღვაროს უკვე სისხლით მორწყულ საბერძნეთის მიწაზე. გთხოვთ ჩაერთოთ საქმეში და თავიდან აგვაცილოთ საფრთხე, რომელიც ჩვენს მახლობლებს მოელოდა. ამით თქვენ ცხადყოფთ, რომ გიყვართ ბერძენი ხალხი და ებრძვით ომისა და მშვიდობისა.

პატივისცემით: ვასილაკი ბელოიანი, ამალია კალოფოლია, ირინი გრამენუ“.

ზემომოყვანილი წერილის ტექსტიდან ჩანს, რომ გენერალური ასამბლეის მე-6 სესიის სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე 1951 წლის 20 და 23 ნოემბერს საბერძნეთის დელეგატის განცხადება იმის შესახებ, რომ ამ წერილში დასახელებულ ბერძენ პატრიოტებს სიკვდილით დასჯა არ მოელით და რომ ყველა მათგანზე გავრცელდება შეწყალების ღონისძიებანი, რომლებსაც საბერძნეთის მთავრობა ახორციელებს, ნამდვილად მხოლოდ იმისაკენ იყო მიმართული, რომ შეცდომაში შეეყვანათ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი. აღნიშნული წერილი იმასაც მოწმობს, რომ ამ ბერძენ პატრიოტებს უმზადებენ ახალ გასამართლებას და რომ მათ კვლავ მოელით სასიკვდილო განაჩენის გამოტანის საფრთხე.

ხსენებულის გამო, ბ-ნო თავმჯდომარეო, გთხოვთ იხელმძღვანელოთ საბერძნეთში პოლიტიკური ტერორის მსხვერპლთა დაცვისადმი ჰუმანური მიდგომით, რაც მიიღეს გენერალური ასამბლეის მე-3 და მე-4 სესიებმა, და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეშვეობით სასწრაფოდ მიიღოთ ამ ბერძენ პატრიოტთა სიცოცხლის გადარჩენისათვის ყველა საჭირო ღონისძიება.

გთხოვთ იგრძთვე მიიღოთ ღონისძიებანი, რათა ეს წერილი გამოიცეს როგორც გენერალური ასამბლეის დოკუმენტი და დაუგზავნოთ იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ყველა ქვეყნის მთავრობებს.

პატივისცემით ს. ცარაპკინი“.

გერმანიის კომპარტიის მიმართვა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციისადმი

ბერლინი, 16 თებერვალი. (საკდესი). ადნ-ის საგაზეთო ინფორმაცია:

გერმანიის კომუნისტური პარტიის პირველმა თავმჯდომარემ მაქს რაიმანმა გუშინ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას, რომლის აღგილსამყოფელი ვენა, გაუგზავნა წერილი და სთხოვა მიიღოს საჭირო ღონისძიებანი, რათა მთელი მსოფლიოს მუშათა ყურადღება მიაქციოს გერმანიაში მზარდ ახალი ომის საფრთხეს და გადადგას ნაბიჯი ახალი სამხედრო კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით.

„პოტსდამის ხელშეკრულებით განმტკიცებულ საერთაშორისო შეთანხმებათა მიუხედავად, დასავლეთ გერმანიის მუშებისა და მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ნათლად გამოხატული მისწრაფების მიუხედავად, — ნათქვამია მიმართვაში, — ამერიკელ იმპერიალისტთა ზეგავლენით ხდება დასავლეთ გერმანიის სსრ-ისაგან შეყვანა სამხედრო ავრესიულ ატლანტიკის ბლოკში. ამერიკელმა, ინგლისელმა და ფრანგმა იმპერიალისტებმა აშკარა კავშირი შეკრეს გერმანიის იმპერიალიზმთან — ორი მსოფლიო ომის დამნაშავესთან.

ამ კავშირის გამოხატულებაა შუმანის გეგმა, რომელიც კვლავ უქმნის ახალი სამხედრო მრეწველობის შექმნის სრულ შესაძლებლობას გერმანიის ზარბაზნის ძველ მეფეებსა და პოლიტიკოსებს, რომელთა მიზანია დაპყრობანი. დასავლეთ გერმანიაში იძულებითი სამხედრო ბეგრის კანონის შემუშავება დაევალა ჰიტლერულ გენერალურ შტაბს და ფაშისტ სამხედრო დამნაშავეებს. „საერთო ხელშეკრულების“ დადებით დასავლეთ გერმანიის მთელი პოლიტიკური, ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრება უნდა დაემორჩილოს ამერიკის იმპერიალიზმის სამხედრო პოლიტიკას. ომის დაჩქარებით მზადების მსვლელობაში სავსებით ისპობა მუშებისა და მშვიდობისმოყვარე მოსახლეობის ყველა დემოკრატიული უფლება და მზადდება აშკარა სამხედრო დიქტატურა.

ეიზენჰაუერის გენერალური შტაბის ბრძანებით ბონის მთავრობა ცდილობს აკრძალოს კომუნისტური პარტია და აძალიერებს ტერორს ყველა მშვიდობისმოყვარე გერმანელის წინააღმდეგ, კერძოდ, პროფკავშირების წინააღმდეგ, რომელთა შესახებ ბონის იუსტიციის მინისტრმა დელერმა თქვა, რომ ისინი „ომიშიფდნენ საკატორღო საპყრობილისათვის“. ბონის მთავრობა, რომელიც გერმანიის აღორძინებული აგრესიული იმპერიალიზმის წარმომადგენელია, მიმართავს იმავე ტერორისტულ ღონისძიებებს, როგორსაც ჰიტლერი და გერინგი მიმართავდნენ.

დასავლეთ გერმანიაში მოვლენათა განვითარება შეიცავს უშუალო საფრთხეს მშვიდობისათვის და ეშმაკრება ევროპის ყველა ხალხს და, კერძოდ, გერმანელი ხალხის ეროვნულ არსებობას.

საწარმოებსა და პროფკავშირებში დასავლეთ გერმანიის მუშებისათვის სულ უფრო ნათელი ხდება ომის დიდი საფრთხე და ისინი სულ უფრო მზარდი სიმტკიცით იბრძვიან შუმანის გეგმის, სამხედრო ბეგრის კანონის, „საერთო ხელშეკრულების“ წინააღმდეგ, ეროვნული კრების თავისუფალი არჩევნების მოწყობის მიზნით სრულიად გერმანიის თანმირის საფუძველზე გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის...

პროფკავშირთა წევრების მასები სამხედრო ბეგრის კანონის ნაცვლად მოითხოვენ საარჩევნო კანონს, „საერთო ხელშეკრულების“ ნაცვლად — საზავო ხელშეკრულებას, ატლანტიკის პაქტის ნაცვლად — ხუთ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადებას.

მაგრამ ამერიკელმა და გერმანელმა იმპერიალისტებმა პროფკავშირთა მემარჯვენე ლიდერების სახით ჰპოვეს ერთგული მოკავშირეები, რომლებიც ფეხქვეშ თელავენ პროფკავშირთა წევრების შინაპროფკავშირულ უფლებებს...

...ჩვენ, — ნათქვამია დასასრულ წერილში,— მივმართავთ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას. ითხოვნით—მიიღოს საჭირო ღონისძიებანი, რათა მთელი მსოფლიოს მუშათა ყურადღება მიაქციოს დასავლეთ გერმანიაში მზარდ ახალი ომის დიდ საფრთხეს და გადადგას საჭირო ნაბიჯები საერთაშორისო პროფკავშირული სოლიდარობის გასაძლიერებლად ყველა მშრომელს საერთო ბრძოლაში დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე ახალი სამხედრო კატასტროფის მზადების თავიდან აცილებისათვის“.

მაქს რაიმანის წერილი „გერმანიის რემილიტარიზაციის საწინააღმდეგო ევროპის მუშათა კომიტეტისადმი“

ბერლინი, 16 თებერვალი. (საკდესი). როგორც ადნ-ის საგაზეთო ფიფუელდორფიდან იუწყება, გერმანიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ მაქს რაიმანმა „გერმანიის რემილიტარიზაციის საწინააღმდეგო ევროპის მუშათა კომიტეტს“ გაუგზავნა წერილი, რომელითაც მოუწოდებს ევროპის მუშებს მხარი დაუჭირონ დასავლეთ გერმანიის მშრომელთა ბრძოლას რემილიტარიზაციისა და საომარი მზადების პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ბონის მთავრობა ახორციელებს.

ჩვენ გთხოვთ, ნათქვამია, კერძოდ, ამ წერილში, რომ თქვენ მოუწოდოთ ევროპის მუშებს გააჩაღონ სოლიდარობის ფართო მოძრაობა, რათა არ დაუშვან ადენაუერის მთავრობის მხრივ დევნისა და საომარი მზადების სამარცხვინო გეგმების განხორციელება.

იბრძოლეთ მთელი ძალით მშვიდობის მომხრეთა ყველა ორგანიზაციის დასაცავად, გერმანიის კომუნისტური პარტიის დასაცავად.

ევროპის ყველა მუშის საერთაშორისო სოლიდარობა დიდხმარება დასავლეთ გერმანიის მუშებს უკეთ შეიგნონ თავიანთი ძალები რემილიტარიზაციის წინააღმდეგ და მშვიდობის დაცვისათვის ბრძოლაში. დასავლეთ გერმანიის მუშები ამ საერთაშორისო სოლიდარობაში ხედავენ მძლავრ მხარდაჭერას მშვიდობის, თავისუფლებისა და დემოკრატიის შენარჩუნებისათვის თავიანთ ბრძოლაში.

მეცნიერული ტექნიკური

ხელფასის ბუნება, ხასიათი და არსი ძირეულად შეცვლილია.

ხელფასის არსი სოციალიზმის დროს მდგომარეობს იმაში, რომ მისი დახმარებით სოციალისტური სახელმწიფო ახორციელებს: 1) მუშებისა და მოსამსახურეების მატერიალური და კულტურული მდგომარეობის სისტემატურ გაუმჯობესებას; 2) მჭიდრო კავშირს შრომის საზომსა და მოხმარების საზომს შორის და 3) ხელფასი წარმოადგენს ეკონომიურ ბერკეტს შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და თვითღირებულების შემცირების საქმეში.

ხელფასის დონეს სოციალიზმის დროს განსაზღვრავს მთელი რიგი ფაქტორები. მათ შორის მთავარია: საწარმოო ძალების განვითარების მიღწეული დონე, გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქციის მასშტაბი, ის კონკრეტული სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანები, რომლებსაც ყოველ ისტორიულ ეტაპზე სოციალისტური სახელმწიფო ისახავს.

სოციალისტური სახელმწიფო და კომუნისტური პარტია სისტემატურად ზრუნავენ მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის; ამ მიზნით ატარებენ ფასების სისტემატური შემცირების და რეალური ხელფასის გადიდების პოლიტიკას, ზრდიან სახელმწიფო ხარჯებს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე. 1950 წელს საბჭოთა სახელმწიფომ სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე 120 მილიარდ მანეთზე მეტი გაიღო, სამჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს. ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მანძილზე მასობრივი მოხმარების საქონლის ფასები ოთხჯერ შემცირდა. მუშა-მოსამსახურეთა შემოსავლის და გლეხების შემოსავლის საერთო თანხა 1950 წელს 62 პროცენტით გაიზარდა 1940 წელთან შედარებით.

კვალიფიციური კადრებით სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფა უდიდესი მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი საქმეა. ხელფასის სწორი ორგანიზაცია ხელს უწყობს წარმოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას. მაღალი კვალიფიკაციის მუშაკი მეტ ანაზღაურებას იღებს. აქედან გამომდინარეობს მუშაკის ინტერესი — აიმაღლოს კვალიფიკაცია. ომისშემდგომ ხუთწლედში წარმოებისაგან მოუწყვეტლად ისწავლა და კვალიფიკაცია აიმაღლა 31 მილიონზე მეტმა მუშამ.

როგორია დამოკიდებულება შრომის ნაყოფიერებასა და ხელფასს შორის?

შრომის ნაყოფიერება განისაზღვრება პროდუქტების იმ რაოდენობით, რომელსაც განსაზღვრულ დროში (საათი, თვე და სხვ.) წარმოების მუშაკი ქმნის. „შრომის ნაყოფიერება მრავალნაირი გარემოებით განისაზღვრება, — სხვათა შორის მუშის საშუალო დახელოვნებით, მეცნიერების განვითარებისა და მისი ტექნოლოგიური გამოყენების დონით, წარმოების პროცესის საზოგადოებრივი ორგანიზაციით, საწარმოო საშუალებათა მოცულობით და საბოქმედო უნარით და ავრეთვე ბუნებრივი პირობებით“ (კ. მარქსი, „კაპიტალი“, ტ. I, გვ. 8).

სოციალიზმის დროს შრომის ნაყოფიერებაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი. ამათგან მთავარია: ახალი ტექნიკა, შრომის მექანიზაცია, ავტომატიზაცია, მუშათა კადრების კვალიფიკაციის ამაღლება, მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, წარმოების და შრომის ორგანიზაცია, სოციალისტური შეჯიბრება და სტახანოვური მოძრაობა.

შრომის ნაყოფიერების ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია შრომის მიხედვით განაწილების სოციალისტური პრინციპი. კაპიტალიზმის დროს შრომის ნაყოფიერების ზრდა იწვევს, სამუშაო ძალის ღირებულების დაცემას, ხელფასის შემცირებას, უმუშევრობის ზრდას. სოციალიზმის დროს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას აუცილებლად თან ახლავს ხელფასის ზრდა, მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება. მეორე მხრივ, თვით მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება იწვევს შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას.

შრომის ნაყოფიერების ზრდა სოციალიზმის დროს წინ უსწრებს ხელფასის ზრდას. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი არ ექნებოდა სოციალისტურ დაგროვებას, სოციალისტური წარმოების გაფართოებას. „შრომის ნაყოფიერების ზრდა წინ უნდა უსწრებდეს ხელფასის ზრდას. მხოლოდ ამ პირობით შეიქმნება მატერიალური ბაზა და დაგროვებულ იქნება საშუალებანი ხელფასის ზრდის უზრუნველყოფისათვის, წარმოების გაფართოებისათვის, წარმოების, რომელიც მოითხოვს საბრუნავი საშუალებების გადიდებას, გაცვეთილი და მოძველებული მოწყობილობის აღდგენისათვის, მზარდ კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, მოზარდი თაობის განათლება-აღზრდისათვის, სახელმწიფოს მართვისა და თავდაცვისათვის“ (საკავშირო კ. პ. (ბ) რეზოლუციებსა და ყრილობების, კონფერენციების და ცკ-ის პლენუმების გადაწყვეტილებებში, ნაწილი I, 1941 წ. გვ. 627).

საბჭოთა მუშის შემოსავალი არ ამოიწურება მარტო ხელფასით. გარდა ხელფასისა მუშები იღებენ სახელმწიფო დახმარებას ავადმყოფობის დროს, სარგებლობენ შვებულებით, უფასო სამედიცინო მომსახურებით და სხვ.

მუშათა კლასის რეალური ხელფასის ზრდა უზრუნველყოფილია საცალო ფასების სისტემატური შემცირებით, კომუნალური ხარჯების შეკვეცით და ა. შ.

საბჭოთა ხელფასის ძირითადი ფორმებია სანაღდო და დროითი ხელფასი.

სანაღდო ხელფასს აქვს მთელი რიგი უპირატესობანი. იგი ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას, პირად მატერიალურ დაინტერესებას უთავსებს საზოგადოებრივ ინტერესებს. იგი იწვევს მუშის კვალიფიკაციის ამაღლებას, აუმჯობესებს წარმოებისა და შრომის ორგანიზაციას და ა. შ.

დროითი ხელფასის ფორმა გამოიყენება ისეთ შემთხვევაში, როცა შეუძლებელია გამომუშავების ნორმების დადგენა. დროითი ხელფასის დადგენისას გათვალისწინებულია ფაქტიური დრო და მუშაკის კვალიფიკაცია.

ხელფასის სწორი ორგანიზაციის საფუძველზე საბჭოთა სახელმწიფო ახორციელებს სასტიკ კონტროლს შრომის საზომზე და მოხმარების საზომზე, რაციონალურად ანაწილებს სამუშაო ძალას სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, ამაღლებს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერებას, ამცირებს თვითღირებულებას და აუმჯობესებს საბჭოთა ხალხის ცხოვრებას.

* * *

კოლმეურნეობა, როგორც გვასწავლის ამხანაგი სტალინი, სოციალისტური მეურნეობის ერთ-ერთი ფორმაა. კოლმეურნეობა ემყარება წარმოების საშუალებებისა და იარაღების საზოგადოებრივ. სოციალისტურ საკუთრებას. კოლმეურნეობა ემყარება კოლექტიურ შრომას, იგი გეგმიანად ვითარდება.

კოლექტიური მეურნეობის აღმოცენების პირველი დღიდანვე შრომის სწორი ორგანიზაცია და ანაზღაურება წარმოადგენდა კოლმეურნეობათა განმტკიცების უმნიშვნელოვანეს ამოცანას. საჭირო იყო შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ისეთი ფორმის გამონახვა, რომელიც შესაბამისი იქნებოდა კოლმეურნეობათა ბუნებისადმი და კოლმეურნეებს დაეინტერესებდა შრომის ნაყოფიერების ამაღლების საქმეში. შრომის ანაზღაურების ფორმას უნდა უზრუნველეყო განაწილების სოციალისტური პრინციპის გატარება კოლმეურნეობაში, თვითეული კოლმეურნის შრომის სწორი შეფასება და მისი წილის განსაზღვრა საკოლმეურნეო შემოსავალში.

შრომის ანაზღაურების ასეთი ფორმა თვით საკოლმეურნეო წყობილებიდან აღმოცენდა. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით წვრილბურჟუაზიული გათანაბრების წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლაში წარმოიშვა შრომადღე, როგორც შრომისა და მოხმარების საზომი კოლმეურნეობაში. შრომადღე აღმოაჩინა საკოლმეურნეო წყობილების შემოქმედმა და ორგანიზატორმა ი. ბ. სტალინმა.

საკოლმეურნეო შრომადღე ახალი ეკონომიური კატეგორიაა; იგი გამოხატავს ახალ საზოგადოებრივ-წარმოებით ურთიერთობას, რომელიც სოფლად წარმოიშვა საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების შედეგად. საკოლმეურნეო სოფელში დამკვიდრებულია ექსპლოატაციისაგან თავისუფალი მუშაკების ამხანაგური თანამშრომლობისა და სოციალისტური ურთიერთდახმარების ურთიერთობა.

შრომადღე კოლმეურნეთა შრომის სოციალისტური ორგანიზაციის და შრომის ანაზღაურების ერთიანი ეკონომიური ინსტრუმენტია. შრომადღის მეშვეობით იზომება, ფასდება და აღრიცხება თვითეული კოლმეურნის მიერ გაწეული შრომა საზოგადოებრივ მეურნეობაში.

შრომადღე შრომის საზომისა და მოხმარების საზომის ერთიანობაა. შრომადღეების მიხედვით ნაწილდება როგორც ნატურალური, ისე ფულადი შემოსავალი. შრომადღე, როგორც განაწილების საზომი, მჭიდრო კავშირშია შრომადღესთან, როგორც შრომის საზომთან.

შრომადღე სოციალიზმის ეკონომიური კანონის — შრომის მიხედვით განაწილების სოციალისტური პრინციპის — საკოლმეურნეო წარმოებაში გატარების კონკრეტული ფორმაა.

შრომადღე საკოლმეურნეო შრომის საზოგადოებრივი საზომია. იგი ერთიანია საკოლმეურნეო სისტემისათვის საზოგადოდ. იგი კოლმეურნეობაში მეტად მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებს, წარმოადგენს რა შრომითი რესურსების დაგეგმვისა და აღრიცხვის, მომჭირნეობის რეჟიმის გატარების, საკოლმეურნეო წარმოების ხარჯების შემცირების იარაღს.

შრომადღე საუკეთესოდ ათავსებს კოლმეურნის პირად ინტერესს საზოგადოებრივ ინტერესთან. ამავე დროს იგი არის ზემოქმედების საშუალებაც იმ კოლმეურნეთა მიმართ, რომლებიც არღვევენ შრომის დისციპლინას.

კოლმეურნეთა მირადი მატერიალური დაინტერესებისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება შრომის დამატებით ანაზღაურებას. იგი პირდაპირ კავშირშია მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებასთან. კოლმეურნეთა დამატებითი ანაზღაურების ოდენობა დამოკიდებულია გეგმის შესრულებასთან. რაც მეტის ზეგეგმითი პროდუქცია, მით მეტია კოლმეურნეთა დამატებითი ანაზღაურების ფონდი. შრომის დამატებითი ანაზღაურება უდიდესი სტიმულია შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის კოლმეურნეობაში.

კოლმეურნეობა მ

ხელი შევუშალოთ გერმანიის შეიარაღებას, მივაღწიოთ განიარაღებას, თავიდან ავიშოროთ ომი!

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ხალხისადმი

პარიზი, 16 თებერვალი. (საკდესი). გაზეთ „ლუმანიტეში“ გამოქვეყნდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ხალხისადმი, რაც მიღებულია ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. მიმართვაში ნათქვამია:

„ფრანგებო! თუ იყო დრო, როცა კომუნისტები უფრო სერიოზულად იყვნენ შეშფოთებულნი, ვიდრე ბევრი სხვა ფრანგი, ომის მომზადებისა და ეროვნული დამცირების იმ პოლიტიკასთან დაკავშირებით, რასაც ახორციელებენ ამერიკელი მილიარდერებისადმი დამორჩილებული მძართველები, დღეს ამერიკის მიერ ჩვენი ქვეყნის ხელში ჩაგდების წინააღმდეგ იწყება მასების ფართო მოძრაობა. მთავრობა სულ უფრო მეტ სიძნელეს განიცდის თავისა საბედისწერო პოლიტიკის განხორციელებაში.

მაგრამ განვლილ უნდა იქნას კიდევ ერთი უტაპი. ამჟამად საჭიროა მივაღწიოთ მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის ფრანგული პოლიტიკის განხორციელებას. დასაგლეთ გერმანიაში ძლიერი რეაქციული და რევანშისტული არმიის ოფიციალური შექმნა, ჰიტლერული ვერმახტის სარდლობისა და ოფიცერთა კადრების შექმნა ნიშნავს უდიდეს საფრთხეს ჩვენი სამშობლოსა და მშვიდობის საქმისათვის. საჭიროა ვიხსნათ ჩვენი ქვეყანა. საჭიროა ჩავშალოთ იმ მმართველთა გეგმები, რომლებმაც აკრძალეს 10 თებერვლის ანტიფაშისტური მანიფესტაციები და ერთხელ კიდევ დამტკიცეს თავიანთი მონური ერთგულება უცხოთისადმი. თუ ტრუმენი და მისი ლაქიები მიმართავენ ასეთ ძალადურ ღონისძიებებს, მიმართავენ იმიტომ, რომ ისინი აწყდებიან ფრანგი ხალხის სულ უფრო მტკიცე წინააღმდეგობას, იმიტომ, რომ მათ ეეშვებათ, ვიდრე ბევრ თუ ვერა დაათხნმონ იგი ამერიკის ოკუპაციაზე, გადაპარბებულ შეიარაღებაზე, სამხედრო ეკონომიკასა და სიღატაკის გაძლიერებაზე, რომელიც ევროპაში აგრესიის გეგმების განხორციელებს, აგრეთვე აზიაში აგრესიის განგრძობისა და აფრიკაში ძალადობის პოლიტიკის შედეგია. მუშათა კლასს მობეზრდა მზარდი სიღატაკე, ფასების მატება, მყიდველობითი უნარის მუდმივი შემცირება. მას ამავე დროს მობეზრდა კაპიტალისტების მოგებისა და სამხედრო ხარჯების სკანდალური გადიდების აღნიშვნა. მშრომელებს სურთ ხელფასის, პენსიებისა და დახმარების გადიდება. მათ სურთ ხელფასის მოძრაგი სკალის დაწესება. გლეხები გამოდიან ომის წინააღმდეგ, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასები დადგ განსხვავდება სამრეწველო საქონლის ფასებისაგან. ვაჭრები და ხელოსნები შეშფოთებს გამოთქვამენ მასების მყიდველობითი უნარის შემცირებისა და ვალუტის კრიზისის საფრთხის შედეგად გასაღების ბაზრების შემცირების გამო.

ყველანი პროტესტს აცხადებენ საგადასახადო ტვირთის განუწყვეტელი გადიდების წინააღმდეგ. სულ უფრო მეტად გაისმის ჩვენი შეერთებული შტატების იმ აუტანელი მოთხოვნის გამო, რომ შემცირდეს ვაჭრობა საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან. იმპერიალისტებისათვის სულ უფრო ძნელი ხდება ბატონობა კოლონიურ ხალხებზე, რომლებიც ირაზმებიან საბრძოლველად და გამოხატავენ მისწრაფებას დამოუკიდებლობისადმი, მიუხედავად ისეთი მხეცური რეპრესიებისა, რასაც ტუნისში მიმართავენ.

ფაქტია, რომ ძლიერდება ფრანგი ხალხის მასების მტრობა ანტისაბჭოთა ომის პოლიტიკისა და ცხოვრების პირობების გაუარესების წინააღმდეგ, რაც ამ პოლიტიკის გარდუვალი შედეგია. პროლეტარები ამაყობენ იმით, რომ 1952 წლის 12 თებერვალს მათ მოაწყეს პოლიტიკური, ანტიფაშისტური ბრძოლა. ჩვენ, სიცოცხლის დამცველნი, უფრო ძლიერი ვართ, ვიდრე ყლეტას წამომწყებნი, რომლებსაც ჭკუა დაკარგვინა ფიქრმა, ვინ თუ შესაძლებელი ომოჩნდეს მშვიდობის შენარჩუნებაო. მათ ეშინიათ, რომ ეს გამოიწვევს მათი საბჭედრო ეკონომიკის კატასტროფულ კრახს.

სულ უფრო მეტი მშრომელი და ყველა ფრანგი პატრიოტი იბრძვის ახალი სამხედრო ავანტიურების მომზადების წინააღმდეგ, ჩვენი ქვეყნის საქმეებში ამერიკის ჩარევის შეწყვეტისათვის. ისინი ებრძვიან მზარდი ენერგიით, რწმენითა და მგზნებარებით, რაც დღითიდღე სულ უფრო ძლიერი და ეფექტიანი ხდება.

ფრანგებს აქვთ ახალი საფუძველი ღონისძიებათა გასაძლიერებლად, რათა უფრო მტკიცედ იარონ გაერთიანებისა და მოქმედების გზით. გაერთიანება და მოქმედება მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის გასაფართოებლად და გასაძლიერებლად ყველა კეთილი ნების მამაკაცისა და ქალის ხელშეწყობით, მიუხედავად მათი პოლიტიკური და რელიგიური რწმენისა და მათი სოციალური პირობებისა! გაერთიანება და მოქმედება გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ, ჰიტლერული სამხედრო მანქანის აღორძინების წინააღმდეგ, რაც იმდენად დიდ საფრთხეს წარმოადგენს საფრანგეთის მშვიდობისა და უშიშროებისათვის, რომ ზოგიერთი რეაქციონერი პოლიტიკანიც კი ვერ ბედავს აშკარად დათანხმოს ამერიკის დიქტატს ამ ნაწილს!

გაერთიანება და მოქმედება, რათა ხელი შეეშალოთ იმას, რომ საფრანგეთის არმიას წაართვან ეროვნული ხასიათი და სამარცხვინოდ გადაკეთონ იგი უცხოთის ლეგიონად, ამერიკის აგრესიის ქვეით ჯარად, იმისათვის, რომ ჩავშალოთ სამხედრო სამსახურის ვადის ორ წლამდე გადიდება! გაერთიანება და მოქმედება იმისათვის, რომ შეწყდეს ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია ამერიკის მიერ, აღდგენილ იქნას საფრანგეთის დამოუკიდებლობა! გაერთიანება და მოქმედება იმისათვის, რომ შეწყდეს საომარი მოქმედება ინდო-ჩინეთში ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით, რაც მიმართულ უნდა იქნას ორ ქვეყანას შორის ეკონომიური და კულტურული შეთანხმების დადებისაკენ.

გაერთიანება და მოქმედება ტუნისში მკვლელობისა და რეპრესიების შეწყვეტისათვის, მთელი ჯარებისა და სადამსჯელო შეიარაღებული ძალების იქიდან გამოწვევისათვის, ტუნისელი ხალხისადმი, ისევე როგორც სხვა დამნაშავე ხალხებისადმი მხარდაჭერა მათს ბრძოლაში იმ უფლებისათვის, რომ თვითონ განაგებდნენ საკუთარ ბედს! გაერთიანება და მოქმედება ატომური ბომბის აკრძალვისათვის, გამლეტელი შეიარაღების შეწყვეტისათვის, განიარაღებისათვის; ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადებისათვის, ხალხთა შორის თანამშრომლობისათვის საბჭოთა კავშირის სამშვიდობო წინადადებათა შესაბამისად, საბჭოთა კავშირისა, რომელიც მთელ თავის ძალას ამბარს დიდ სამოქალაქო მშენებლობას, კომუნიზმის მშენებლობებს და რომელიც ომის პოლიტიკის მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს! გაერთიანება და მოქმედება ნაფრანგეთსა და ყველა სხვა ქვეყანასთან თანასწორუფლებიანობის პრინციპებზე ეკონომიური ურთიერთობის აღდგენისათვის უდისკრიმინაციოდ! გაერთიანება და მოქმედება მშრომელთა ლუკმაპურის ფასისათვის და სამხედრო ეკონომიკის გაუქმებისათვის!

გამარჯვების პირობაა მუშათა კლასის ერთიანი მოქმედების მაქსიმალური გაფართოება, მიუხედავად სოციალისტი ხელმძღვანელების გაფფრთებული ღონისძიებებისა—ხელი შეუშალონ მოქმედების ერთიანობის დამყარებას, ეს ერთიანობა ბევრ შემთხვევაში ხორციელდება. სოციალისტურ მშრომელებო, ძმები სიღატაკესა და იმედში! ყველაფერი მოითხოვს ჩვენი რიგების დარაზმვას ჩვენი საერთო მტრების წინააღმდეგ. დროშა ერთიანობისა ყველა მუშათა შორის, სოციალისტი იქნება იგი თუ კომუნისტი, მოიწიფნე თუ ურწმუნო, გამარჯვების საწინდარია პარტიისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში. ეს არის გამარჯვების საწინდარი თავისუფლებათა დაცვისათვის ბრძოლაში, ძალაუფლების დე გოლისათვის გადაცემის გეგმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ფაშიზაციის იმ პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელსაც მთავრობა ახორციელებს და რომლის თანამონაწილეობაც სოციალისტთა ხელმძღვანელები არიან. ეს არის მსოფლიოს ყველა ძალისა და მთელი ეროვნული ძალების ფართო გაერთიანების წარმატების საწინდარი, გაერთიანებისა, რომელიც აბრკოლებს რა ამერიკელთა მიერ საფრანგეთის გამოყენებას საომარი მიზნით, ცდილობს რა საფრანგეთის ინტერვენციის შეწყვეტას აზიაში და მშვიდობის გმირის ანრი მარტენის განთავისუფლებას, გამანადგურებელ ლახვარს ჩასცემს ავანტიურისტულ და აგრესიულ გეგმებს ევროპაში.

გაუმარჯოს მუშათა კლასის ერთიანობას! გაუმარჯოს მთელი დემოკრატიული ძალების გაერთიანებას ფაშიზმისათვის გზის გადასაღობავად და ახალი პოლიტიკის, ფრანგული პოლიტიკის განსახორციელებლად, რაც ფართო დემოკრატიული ერთიანობის მთავრობამ უნდა განახორციელოს! გაუმარჯოს ყველა პატრიოტის გაერთიანებას იმისათვის, რომ ხელი შეუშალონ გერმანიის შეიარაღებას. მიაღწიონ განიარაღებას ომისა, თავიდან აიშორონ ომი! გაუმარჯოს საფრანგეთს! გაუმარჯოს მშვიდობას!“

ავსტრიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განცხადება

ვენა, 16 თებერვალი. (საკდესი). ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

„ცნობა, რომელიც ამერიკელმა კორესპონდენტმა მაკკორმაკმა ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრ გრუბერთან ხანგრძლივი საუბრის შემდეგ გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოაქვეყნა, სრულად უეჭველს ხდის, რომ ამერიკის იმპერიალიზმის გავლენიანი წრეები ავსტრიის მთავრობის პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად ცდილობენ სახელმწიფო ხელშეკრულება შეცვალონ ატლანტიკის ბლოკის სახელმწიფოებთან ავსტრიის ცალმხრივი შეთანხმებით, რასაც საბოლოო შედეგად ჩვენი ათმშობლის გათიშვა მოჰყვება. ავსტრიის მთავრობის განცხადება და საგარეო საქმეთა მინისტრის უკანასკნელი ინტერვიუ ამტკიცებს, რომ არსებობს გეგმა—უარი თქვან ავსტრიის საკითხის მოწესრიგებაზე მოსკოვის დეკლარაციისა და პოტსდამის გადაწყვეტილებათა შესაბამისად დიდ სახელმწიფოთა შეთანხმების გზით და ეს საკითხი გადასცენ კენჭისყრის ამერიკულ მანქანას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში“.

„ავსტრიის ერთიანობაზე საშიში თავდასხმების გამო,—ნათქვამია შემდეგ განცხადებაში,—კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მომართავს არა მარტო კომუნისტ, სოციალისტ და უპარტიო მუშებს, არამედ ყველა ავსტრიელსაც და მოუწოდებს მათ გაერთიანებული წინააღმდეგობით შეუშალონ ხელი ამერიკელთა დამკაშების გეგმების განხორციელებას. მხოლოდ ავსტრიის მთელი დემოკრატიული ძალების საბრძოლო ერთიანობას, მიუხედავად სხვადასხვა საკითხში აზრთა განსხვავებისა, შეუძლია უზრუნველყოს ამ საერთო მიზნის მიღწევა და იხსნას ავსტრია გაგანტური კატასტროფისაგან“.

განცხადებაში ნახსენებია ავსტრიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის პარლამენტის დეპუტატ კოპლენიგის გამოსვლა ავსტრიის კომუნისტური პარტიის მე-15 ყრილობაზე, სადაც კოპლენიგმა აღნიშნა: „ახლანდელი სერიოზული სიტუაციის დროს ჩვენი ამოცანაა ჩვენი საშობლოს ბედით დაინტერესებული ყველა ადამიანი, ჩვენი ხალხის ყველა მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული ფენა და ძალა გავაერთიანოთ ავსტრიელი ხალხის მშვიდობისა და თავისუფლების ფრონტად, დავრაზმოთ მასები ამერიკის სამხედრო პოლიტიკის წინააღმდეგ, ერის ღალატისა და ხალხის ექსპლოატაციის წინააღმდეგ, დავრაზმოთ მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესის მთავრობისათვის საბრძოლველად“.

„ასეთ მთავრობას, რომელიც განახორციელებს ეროვნული დამოუკიდებლობის, მშრომელი ხალხის მშვიდობისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების თანმიმდევრულ პოლიტიკას, — ნათქვამია დასასრულ ვანცხადებაში, — ჩვენ, კომუნისტები, მხარს დავუჭერთ. მიუხედავად ამისა, მივიღებთ თუ არა მონაწილეობას ამ მთავრობაში“.

ამერიკა-მექსიკის საგზეკრო მოლაპარაკების გამო

პრაღა, 16 თებერვალი. (საკდესი). ტელეგრაფის საგანგებო კორესპონდენტი აუწყებს, რომ მექსიკოში ჩავიდა გენერალი მარშალი. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ იგი ჩავიდა სამხედრო პაქტის დადების შესახებ ამერიკისა და მექსიკის წარმომადგენლებს შორის გაჩაღებული მოლაპარაკების დროს.

მარშალს გარდა მექსიკოში იმყოფებიან გერმანიის ოკუპაციის ამერიკული ზონის ყოფილი სამხედრო გუბერნატორი გენერალი კლეი და კარიბის ზღვის რაიონში ამერიკის შეიარაღებული ძალების სარდალი გენერალი კეიტელი.

თუმცა კლეი და მარშალი გადამდგარი არიან და მექსიკაში ჩამოვიდნენ როგორც „კერძო პირები, აღნიშნავს კორესპონდენტი, მაგრამ მათმა ჩამოსვლამ შეაშფოთა მექსიკის საზოგადოებრიობა, რომელსაც მიაჩნია, რომ მათი ჩამოსვლის ფაქტიური მიზანია ზეგავლენა მოახდინონ მექსიკის მთავრობაზე და დაარწმუნონ იგი იმაში, რომ ხელი მოაწეროს პაქტს, რომელიც მექსიკას მთლიანად ჩაიბამს ამერიკის სამხედრო გეგმებში და რომელიც შელახავს მის ეროვნულ სუვერენიტეტს.

გენერალი მარშალი გაჩერდა კუერნავაკაში 40 მილზე ქალაქ მექსიკოდან გენერალ აღბერტო სალინას კარანსას—ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებთან სამხედრო მოლაპარაკებაზე მექსიკის დელეგაციის მეთაურის მამულში.

ინგალიის სენაგში

რომი, 16 თებერვალი. (საკდესი). 15 თებერვალს სენატში გაიმართა დისკუსია ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტისადმი თურქეთისა და საბერძნეთის შეერთების შესახებ ამ პაქტის დამატებითი ოქმის რატიფიკაციის საკითხზე. ოპოზიციის სენატორები—კომუნისტები და სოციალისტები—ამ ოქმის რატიფიკაციის წინააღმდეგ გამოვიდნენ.

დე გასპერის გამოსვლის შემდეგ სენატმა მთავრობის პარტიების ხმების უმეტესობით მოიწონა ოქმის რატიფიკაციის კანონი.

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა მონღოლი ხალხისადმი

ულან-ბატორი, 16 თებერვალი. (საკდესი). გაზეთებში გამოქვეყნდა „მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიის ყველა წევრის, მუშის, მეცხოველეს, სახალხო ინტელიგენციას, ახალგაზრდობას, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს უფრო მტკიცედ დარაზმონ თავიანთი რიგები მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიისა და სახალხო მთავრობის გარშემო, მთელი თავიანთი ძალები და ენერგია მოახმარონ სახალხო-სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, ამრავლონ წარმატებანი სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. „მთელი ჩვენი ხალხის თავდადებული შემოქმედებითი შრომა საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ, თვითეული მშრომელის პატიოსანი, კეთილსინდისიერი და დაძაბული მუშაობა თავის პოსტზე, — ნათქვამია მიმართვაში,— ჩვენი ძვირფასი და საყვარელი ამხანაგის ჩოიბალსანის საუკეთესო ძეგლი იქნება.

მონღოლთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრსა და მთელ მონღოლ ხალხს გააძლიერონ აქტივობა ბრძოლაში ახალი ომის გამჩაღებელთა ხრიკების წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მშვიდობის მომხრეთა მძლავრი მსოფლიო ფრონტის რიგებში დიდი საბჭოთა კავშირის მეთაურობით.

მონღოლი ხალხის მეგობრობა დიდ საბჭოთა ხალხთან, რაც სუხე-ბატორმა და ჩოიბალსანმა დაამყარეს, წარმოადგენს ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ძლიერ საყრდენს, ყველა შესანიშნავი წარმატების წყაროს ჩვენი სამშობლოს განვითარებასა და აყვავებაში, სოციალიზმის გზით ჩვენი შემდგომი წარმატებითი წინსვლის საწინდარს.

მონღოლთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრსა და მთელ მონღოლ ხალხს ურყევად დაიცვან, განავითარონ და უფრო განამტკიცონ ეს დიდი მეგობრობა საბჭოთა ხალხთან, ერყევად დაიცვან ერთგულება და თაყვანდება ჩვენი დიდი და საუკეთესო მეგობარი—საბჭოთა კავშირისადმი, ლენინ-სტალინის იმარი პარტიისადმი, ჩიანი ბრძენი მეგობარის, მასწავლებლისა და მამის ამხანაგ სტალინისადმი“.

ამერიკა-მექსიკის საგზეკრო მოლაპარაკების გამო

პრაღა, 16 თებერვალი. (საკდესი). ტელეგრაფის საგანგებო კორესპონდენტი აუწყებს, რომ მექსიკოში ჩავიდა გენერალი მარშალი. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ იგი ჩავიდა სამხედრო პაქტის დადების შესახებ ამერიკისა და მექსიკის წარმომადგენლებს შორის გაჩაღებული მოლაპარაკების დროს.

მარშალს გარდა მექსიკოში იმყოფებიან გერმანიის ოკუპაციის ამერიკული ზონის ყოფილი სამხედრო გუბერნატორი გენერალი კლეი და კარიბის ზღვის რაიონში ამერიკის შეიარაღებული ძალების სარდალი გენერალი კეიტელი.

თუმცა კლეი და მარშალი გადამდგარი არიან და მექსიკაში ჩამოვიდნენ როგორც „კერძო პირები, აღნიშნავს კორესპონდენტი, მაგრამ მათმა ჩამოსვლამ შეაშფოთა მექსიკის საზოგადოებრიობა, რომელსაც მიაჩნია, რომ მათი ჩამოსვლის ფაქტიური მიზანია ზეგავლენა მოახდინონ მექსიკის მთავრობაზე და დაარწმუნონ იგი იმაში, რომ ხელი მოაწეროს პაქტს, რომელიც მექსიკას მთლიანად ჩაიბამს ამერიკის სამხედრო გეგმებში და რომელიც შელახავს მის ეროვნულ სუვერენიტეტს.

გენერალი მარშალი გაჩერდა კუერნავაკაში 40 მილზე ქალაქ მექსიკოდან გენერალ აღბერტო სალინას კარანსას—ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებთან სამხედრო მოლაპარაკებაზე მექსიკის დელეგაციის მეთაურის მამულში.

ინდოეთი-ჩინეთის სასაზღვრო ოლქი

ჰანოი, 16 თებერვალი. (საკდესი). ინდოეთ-ჩინეთის სასაზღვრო ოლქში ყოფილი ფრანგული ჯარების ნაშთებმა ალყა შემოარტყეს ქალაქ ლაოკაის. ალყა-ალყა ალყა ალყა